

ბატონ მამუკა მდინარაძეს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, რადგან საქართველოს სახელმწიფო ენების ანუ ქართული და აფხაზური ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნები ცხადია არის ქვეყნისთვის უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობების მქონე საკითხთა შორის

ქალბატონ თეა წულუკიანს, როგორც საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარესა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს და, აგრეთვე, როგორც ქალბატონს, რომელმაც საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის რანგში 2021 წლის 19 მარტს დააორგანიზა მეტად მნიშვნელოვანი საპარლამენტო განხილვა მოწოდებით „რა კეთდება ქართული ენის დასაცავად?“

სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრის, სტუ ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორის, სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოქალაქე კონსტანტინე ფხაკაძის

ლი ა წ ე რ ი ლ ი / გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ანუ
მამული, ენა, სარწმუნოება

წინასწარი შეჯამება: ღრმად პატივცემულო ქალბატონო თეა და ბატონებო მამუკა მოგმართავთ წინამდებარეთი, რადგან არ მაქვს უფლება ქართულ საზოგადოებას არ ვამცნო იმ დიდი ზიანის შესახებ, რაც საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებს მიაღწა ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ მოსული ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის“ 9 წლიანი ანტიქართული მმართველობის შედეგად, რითაც კიდევ ერთხელ პირდაპირ დასტურდება, რომ საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტისთვის მთავარი იყო არა მამული, ენა, სარწმუნოება, არამედ რაღაც სხვა!

01. მთავარი ნაწილი ანუ ქალბატონი თეა წულუკიანისათვის ანუ იმის დასაბუთება, რომ საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტისთვის მთავარი იყო არა მამული, ენა, სარწმუნოება, არამედ რაღაც სხვა: თხრობას ვიწყებ საქართველოს პრეზიდენტის¹ 2005 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულება №720-ის პრეზენტაციებით,² რომელიც იძებნება <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/95764?publication=0> მისამართზე და რომლის სახელწოდებაცაა „საქართველოს პრეზიდენტის³ ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“. - ამ ერთი თვალის გადავლებითაც კი აშკარად ანტიქართული დოკუმენტის სრულ და ამომაწურავ შეფასებას მე არ შევუდგები, თუმცა ჩემი კომპეტენციიდან და ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე ვალდებული ვარ დავაკომენტარო მისი ვ) და ც) პუნქტები:

ვ) „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 აპრილის №209 ბრძანებულება. - ამ პუნქტთან დაკავშირებით ვკითხავდი ე.წ. მესამე პრეზიდენტს, მას ხომ შეეძლო ეს კომისია თავისი დაქვემდებარების ქვეშ გადაეტანა, რატომ გააუქმა ის? - იმიტომ ხომ არა, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა იმ ღრმა სახელმწიფოებრივი ზრუნვის თაობაზე, რასაც ეს კომისია საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენის, ქართული ენის დაცვის თვალსაზრისებით იჩენდა⁴ და ეს მის იმ გეგმას, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისური უნდა გამოცხადებულიყო, ხელს შეუშლიდა?⁵

¹ იგულისხმება საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. - ბოდიშს ვუხდით გარკვეული კატეგორიის მკითხველს, თუმცა, ვფიქრობ, არ იქნება სწორი საქართველოს პრეზიდენტი ვუწოდო იმ ადამიანს, რომელიც ჩემი მკაცრად დასაბუთებული რწმენით 2004-2012 წლებში საქართველოს მართავდა არა ქართული ეროვნული და სუვერენული ინტერესებით, არამედ უცხო ქვეყნის ან/და ქვეყნების გავლენებითა და დავალებებით! - **ეს ისე და არამხოლოდ ისე:** 2010 წლის გვიან გაზაფხულზე საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში გავაკეთე მოხსენება „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“ (იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf> მისამართზე განთავსებული ნაშრომი). მოხსენებისას ერთ-ერთმა საპატივცემულო მსმენელმა ჩემი გაგებით ყოვლად უსაფუძვლოდ მაშინდელ პრეზიდენტს შემაძარა, რაზეც გულწრფელად ნაწყენმა ვუპასუხე „რატომ მკადრებთ-მეთქი ამას“, რაც სემინარის წამყვანმა, ჩემმა მეგობარმა, პროფესორმა თემურ ზარქუამ, ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს მისი სული, ასე დააკომენტარა „რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაცს პრეზიდენტს ადარებენ და ის ამას შეურაცხყოფად ღებულობს!“.

² ეს 20 წლის წინანდელი ბრძანებულება, რომელიც ხელში შემთხვევით ჩამივარდა ამ 5 წლის წინ, ჩემთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მხოლოდ მისი ნახვის შემდეგ გახდა გასაგები ძირი მიზეზი იმ ჩემთვის მეტად მტკივნეული და დრამატული ამბებისა, რაც თსუ-ში სწორედ 20 წლის წინ ანუ ამ ბრძანებულების გამოქვეყნებისთანავე დაიწყო და რითაც დიდი ზიანი მიაღწია ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ანუ, რაც იგივეა, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით იქ მაშინ უკვე დაფუძნებულ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს!

³ იგულისხმება საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

⁴ ეს დასტურდება <https://drive.google.com/file/d/1t49il-PBe1XWg9QrczncO3cthk8rVOIk/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული მასალის თუნდაც მხოლოდ პირველი 15 გვერდით.

⁵ აქ მხედველობაში მაქვს პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ისტორია, რომელიც ა/წ 14 აპრილს, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვის დღეს გაჟღერდა ქართული სატელევიზიო ეთერით და რომლის თანახმადაც 2004-2005 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურები ფიქრობდნენ საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადებაზე, რაც პირადად ჩემთვის დასაჯერებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი გოგი ტყუილს არ იკადრებდა, არამედ იმიტომაც, რომ

ც) „საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 17 აგვისტოს №374 ბრძანებულება, - ამ პუნქტთან დაკავშირებით, რომ უფრო გასაგები გახდეს რა „ჩარეცხა“ ანუ გააუქმა ე.წ. მესამე პრეზიდენტმა, იხილეთ <https://drive.google.com/file/d/1-IY9H-hy8T50zZlwVXNbi1QUObMKTygO/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული მასალა. - ეს არის პრეზიდენტ შევარდნაძის მოხსენება,⁶ რომელიც მან გააკეთა 2002 წლის სექტემბერში ამ გაუქმებული კომისიის ერთ-ერთ საპარლამენტო ღონისძიებაზე. მოხსენების ინგლისური სათაური არის **About "The Digital Development of Georgia and Building of the Information Society in the Country"**, რაც ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება „საქართველოს ციფრული განვითარებისა და ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის“ შესახებ. ინგლისურიდან იმიტომ გამოვდივარ, რომ მე შემომრჩა ამ 23 წლის წინანდელი მოხსენების მხოლოდ ინგლისური ვერსია და, ამიტომ, ქვემოთ გთავაზობთ ამ უმნიშვნელოვანესი მოხსენების მცირე ფრაგმენტის ჩემეულ თარგმანს.

(ციტატის დასაწყისი)

„საუკუნისა და ათასწლეულის დასაწყისი კიდევ ერთხელ გვავალდებულებს გავაცნობიეროთ, რომ ეპოქის ეს კალენდარული ცვლილება დაემთხვა კაცობრიობის არსებობისთვის აუცილებელ არსებითად ახალ, თვისებრივ გამოწვევებს.

ჩვენ ვცხოვრობთ რთული ისტორიული გამოწვევებისა და ახალი პლანეტარული რეალობების დაბადების პერიოდში, რაც მთლიანად განსაზღვრავს მის მომავალ განვითარებას.

ეს არის „ციფრული რევოლუციისა“ და „ინფორმაციული საზოგადოების“ შექმნის ერა, ყველა თანმხლები რთული პრობლემებითა და მიზნებით.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მომავალი განვითარება და ჩვენი, როგორც თვითმყოფადი ერის არსებობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევძლებთ ამ გამოწვევების მიღებას, მათზე რეაგირებასა და იმ ეპოქალური ამოცანების გადაწყვეტას, რაც საუკუნეებ გამოვლილ ჩვენს ერს აწმყომ მოუტანა.

გარდა ამისა, აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოს, თავისი უნიკალური კულტურითა და უმდიდრესი ისტორიული გამოცდილებით, ნამდვილად აქვს პოტენციალი იმისა, რომ გაუმკლავდეს ამ ურთულეს ინოვაციებს და განვითარებულ ერებს არ ჩამორჩეს ამ ახალი საზოგადოებისა და ამ ახალი პლანეტარული რეალობების შექმნაში.

ამგვარად, ხელისუფლების პირდაპირი ამოცანა და განუყოფელი პასუხისმგებლობაა გამოიყენოს ეს არსებული პოტენციალი და შექმნას შესაბამისი სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური ან/და ყველა სხვა სახის პირობები მისი სრული აქტივაციისთვის.

ის ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებულია ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვით, არ გააუქმებდა არც ამ საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ სახელმწიფო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიას და არც თსუ-ში ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით დაფუძნებულ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს, რაზეც საუბარი ქვემოთ გვექნება!

⁶ მე არა მარტო შემსწრე, არამედ მონაწილეც ვარ იმ ჩვენი ერისთვის ტრაგიკული დაპირისპირებისა, რაც მათდაუნებურად საქართველოს პირველ და მეორე პრეზიდენტებს შორის მოხდა და, სწორედ ამიტომ, ღრმად მწამს, რომ ორივენი სულით ხორცამდე ქართველი ერის მსახურნი იყვნენ!

პრობლემის ღრმა ანალიზის შედეგად, მივედი მარტივ დასკვნამდე, რომ საქართველო შეძლებს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ამ პროცესების წამყვან ქვეყნებთან თანაბარი უფლებებით თანამშრომლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეუერთდება ციფრული რევოლუციის უკვე მიმდინარე პროცესს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას არსებული ციფრული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში არსებული ჩამორჩენების აღმოფხვრას გულისხმობს.

შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ციფრული ტექნოლოგიების ამომწურავი დანერგვა, ამისთვის აუცილებელი ყველა პირობის შექმნა და, შესაბამისად, საქართველოს სრული „ციფრული მოდერნიზაცია“ (იგულისხმება ქვეყანაში კომპიუტერების და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების ყოვლის მომცველ დანერგვა) და „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენით საქართველოსთვის გეოპოლიტიკური ფუნქციის დაბრუნება ჩემი სახელმწიფოებრივი საქმიანობის ისტორიული მიზნებია.

უფრო მეტიც, ეს ორი დიდი ამოცანა პირდაპირ ავსებს ერთმანეთს, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში ციფრული მოდერნიზაციის გარეშე ძალიან რთული იქნება ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული უნიკალურობის შენარჩუნება.

(ციტატის დასასრული)

ანუ, ზემოთ, ჩვენ ვნახეთ 2002 წლის სექტემბერში, მაშინ უკვე 74 წლის პრეზიდენტი, როგორი დღესაც კი და მაშინ მითუმეტეს პროგრესული ხედვების მატარებელი იყო, როგორ ღრმად ფიქრობდა და ზრუნავდა მაშინაც უკვე კარს მომდგარი ციფრული რევოლუციის ფონზე თვითმყოფადი ქართული ენის და, შესაბამისად, ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობის მომავლის ციფრულ ეპოქაში.

თუმცა, იმ მიზნით, რომ უფრო გასაგები გავხადო აღნიშნული, გთავაზობთ პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის სექტემბრის თვეში გაკეთებული ამ ზემოთ ფრაგმენტულად ციტირებული მოხსენების ქრონოლოგიურ და თემატურ კონტექსტს, რისთვისაც კიდევ ერთხელ წარმოვადგენ <https://drive.google.com/file/d/1t49il-PBe1XWg9QrczncO3cthk8rVOIk/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებულ დოკუმენტურ მასალას, რომელიც თვალსაჩინოს ხდის იმ დიდ სამთავრობო და აკადემიურ მხარდაჭერას, რაც 2001- 2003 წლებში ჰქონდა თსუ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამას „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ და ამ პროგრამის პირველ ანუ ამოსავალ ვერსიას „ბუნებრივი ქართული ენის სრული პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა ენის, როგორც ბუნებრივი სისტემის, საფუძველზე“.

კერძოდ, იხილეთ, <https://drive.google.com/file/d/1t49il-PBe1XWg9QrczncO3cthk8rVOIk/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული მასალის პდფ-ნუმერაციით მე-3 გვერდი, სადაც წარმოდგენილია 2001 წლის 29 ნოემბრის დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ბატონი კობა იმედაშვილი საქართველოს იმდროინდელი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა სიორიძეს მიმართავს პროექტის „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა ენის, როგორც ბუნებრივი სისტემის, საფუძველზე“ საბიუჯეტო მხარდაჭერაზე.

ამასთან, ბატონი კობა იმედაშვილის ეს მხარდაჭერა ეყრდნობა იმავე მასალის მე-4 - მე-6 გვერდებზე მოცემულ იმავე პროექტის იმ დოკუმენტურ მხარდაჭერებს, რომლებსაც შესაბამისად ხელს აწერენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ქალბატონი გუჩა კვარაცხელია, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე ბატონი ლევან ღვინჯილია, საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი დავით თარხან-მოურავი.

ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის მე-7 - მე-8 გვერდებზე განთავსებული 2002 წლის 5 მარტის დოკუმენტი, რომელიც ასახავს საქართველოს იმდროინდელ განათლების სამინისტროში ჩატარებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ განხილვის ანგარიშს.

გარდა ამისა, იხილეთ აგრეთვე ამ დოკუმენტური მასალის მე-12 გვერდზე განთავსებული 2002 წლის 19 ივლისის დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს იმდროინდელი პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი საქართველოს იმდროინდელ სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

(ციტატის დასაწყისი)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და კომიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“. პროექტს დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს. მისი აქტუალობა დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს არის ქართული ენის, როგორც კულტურული ფენომენის შენარჩუნება-გადარჩენის, მისი განვითარებისა და შესწავლის გაღრმავების საშუალება და ეროვნული ცნობიერების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს საერთო მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.

(ციტატის დასაწყისი)⁷

და, ასევე, კიდევ უფრო გასაგები რომ გახდეს ზემოაღნიშნული ანუ 2002 წლის სექტემბრის თვეში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გაკეთებული მოხსენების ქრონოლოგიური და თემატური კონტექსტი, ქვემოთ, შინაარსის სრული შენარჩუნებით ანუ მხოლოდ ტექნიკური ხასიათის სტილისტური ცვლილებებით მომყავს ციტატა 2000-2001 წლებში შემუშავებული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამიდან „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“:

(ციტატის დასაწყისი)

დავსვათ კითხვა: რას ნიშნავს კომპიუტერის ბუნებრივ ენობრივ გარემოში სრული პროგრამული და მომსახურეობითი მოქცევა? და როგორ პერსპექტივებს ითვალისწინებს ამგვარი მოვლენა?

⁷ უფრო დეტალურად იხილეთ https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_1_2005.pdf მისამართზე განთავსებული ნაშრომის „წინათქმა ანუ ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის მიზნებისა და ამოცანების შესახებ“ პდფ-ნუმერაციით მე-17 – 22-ე გვერდებზე განთავსებული მასალა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის თანატოლია და ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა ერთი ტექნოლოგიური საფეხურის ახალი, უფრო მაღალი ტექნოლოგიური საფეხურით ცვლის ჯერადი პროცესები. უპრეცედენტოა ამგვარი პროცესების ის ტემპი, რაც აქ შეიმჩნევა. მაისური ეგმ-ებიდან კომპაქტურ პერსონალურ კომპიუტერებზე გადასვლა ერთი თაობის შიგნით მიმდინარე პერიოდის ფარგლებში განხორციელდა.

აღნიშნული არე დღესაც სწრაფი ტემპებით ვითარდება. აქ მოვლენები ორი მიმართულებით წარმოებს: პირველი, ეს არის უშუალო ტექნიკური თუ ფიზიკური პარამეტრების და ამ საფუძველზე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობათა გაფართოება-გაუმჯობესება; და მეორე, არსებული კომპიუტერების მათემატიკური პროგრამული უზრუნველყოფა და ამ თვალსაზრისით შესაძლებლობრივი ინტერესების გათვალისწინებით მათი მაქსიმალური დახვეწა და გაპოპულარება (ე.ი. კომპიუტერის მასიურად და თავისუფლად გამოყენებად ატრიბუტად (ნაკეთობად) გადაქცევა).

ბუნებრივი ენის ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, ანუ, მათემატიკური ლინგვისტიკის ძირეული მიზანი ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა და, კერძოდ, იგი აღნიშნული მეორე მიმართულების იდეალური გადაწყვეტის პერსპექტივებს იძლევა. კომპიუტერის სრული პროგრამული და მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ენობრივ გარემოში ნიშნავს ფორმალიზებული და მათემატიზებული ბუნებრივი ენით კომპიუტერის სრულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

ჩვეულებრივი რიგითი ადამიანისთვის ეს ნიშნავს მისი მშობლიური ენით კომპიუტერთან სრულ და თავისუფალ ინტელექტუალურ ურთიერთობაში შესვლას ნებისმიერი შესაძლო მიზნისა და საჭიროების შემთხვევაში: კითხვის დასმას, მისგან დასმულ კითხვაზე პასუხის მიღებას, თავისი მოსაზრების მასთან გაზიარებასა და დაზუსტებას, რაც, მთლიანობაში, იმას ნიშნავს, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული კომპიუტერი ადამიანის, როგორც ზრდასრულის, ისე მოზარდის, დაუზარებელი ინტელექტუალური პარტნიორი ხდება.

დღევანდელი ტენდენციებიდან გამომდინარე ამგვარ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ! - როდის მოხდება ეს? - რამდენი წელი დასჭირდება ამ პერსპექტივების რეალობად ქცევას? - თხუთმეტი, ოცი თუ ოცდაათი, ან იქნებ უფრო ნაკლები, ან იქნებ უფრო მეტი, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ის, რომ ამგვარი უნარებით აღჭურვილი კომპიუტერი იქნება, და რომ ყველა სხვა ფუნქციებთან ერთად ის საკმაოდ დიდი მოცულობით თავის თავზე აიღებს უღალატო და დაუზარებელი მასწავლებლის ფუნქციას, ეს უდავოა!

აქედან გამომდინარე, სამომავლოდ, ის მოზარდი და ის ენობრივი საზოგადოება, რომელიც ასეთ ტექნიკურ საშუალებას მოკლებული იქნება, ვერ შეძლებს კულტურული თვალსაზრისებით მხარი აუბას მსოფლიო ცივილურ პროცესებს მისი მშობლიური ეროვნული ენის ფარგლებში. ამდენად, ამგვარ ინტელექტუალურ საშუალებას მოკლებული ეროვნული საზოგადოება, სამომავლოდ, იძულებული იქნება, ან საერთოდ უარი თქვას კულტურულ პერსპექტივაზე, ანდა წარმართოს იგი არაეროვნულ ენობრივ გარემოში. - აი ის ზოგადი და, ამავედროულად, ძირეული ხედვა, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ზემოთ აღნიშნული მიმართულებით კვლევების წარმოება, რაც,

ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველია ამ მიმართულებით კვლევების ეროვნულ პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის განსასაზღვრავად. - აქ ხომ ქართული ენის კულტურული ფუნქციების და აქედან გამომდინარე ქართველის ერის კულტურული მერმისის გადარჩენა-შენარჩუნებაზეა საუბარი!

(ციტატის დასასრული)⁸

⁸ ქვემოთ, მოკლედ წარმოვაჩენ იმ გარემოებებს, რომლებმაც მე მიმიყვანა ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებზე მიმართული ამ ზემოხსენებული მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამისა და, აგრეთვე, ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებზე მიმართული იმ საინსტიტუტო პროგრამის შემუშავებამდე, რის საფუძველზეც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისიდან უკვე ამოქმედდა „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“ (იხილეთ <https://gtu.ge/News/26241/>, <https://gtu.ge/News/27757/> და https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing მისამართებზე განთავსებული მასალები):

„ფორმალურ-ინტელექტუალური თეორიები“ იყო ბოლო პროექტი, რომელსაც მამაჩემი, საქართველოში კლასიკური მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი შალვა ფხაკაძე გარდაცვალებამდე ანუ 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა (იხილეთ <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009469/>, <https://gmgu.gtu.ge/index.php?page=pkhakadze&lang=ge>, <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf>, <https://geoanbani.com/TbiLLAI/files/AMIM%20Vol.25%20No.2,%202020.pdf> და <https://geoanbani.com/TbiLLAI/> მისამართებზე განთავსებული მასალები). მე ამ პროექტში ერთ-ერთი მკვლევარი ვიყავი და პირველი მოხსენება, რომელიც 1993 წელს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პირველ კონფერენციაზე გავაკეთე, იყო „სასაფუძვლო ხედვები ფორმალურ-ინტელექტუალურ თეორიებზე“. აქ ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომი „გამონათქვამთა i-ალგებრა და მისი ზოგიერთი გამოყენება“ ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის თემატიკას უკავშირდებოდა. ანუ, ჩემთვის, ხელოვნური ინტელექტის ამოცანის განსაკუთრებული მნიშვნელობები 1990-იანი წლიდან უკვე კარგად იყო ცნობილი. ამასთან:

ა) 1995 - 2005 წლებში, როგორც თსუ ენისა და მეტყველების ცენტრის კოორდინატორი, ვიყავი „ლოგიკის, ენისა და გამოთვლების“ თბილისის I - VI საერთაშორისო კონფერენციების ერთ-ერთი ორგანიზატორი;

ბ) 1997 - 1999 წლებში თსუ-ში მიმყავდა „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ საუნივერსიტეტო სემინარი, რომელსაც სტუდენტებთან ერთად თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის პროფესორებიც ესწრებოდნენ;

გ) 1999 წლიდან ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან, მათიას ბაასთან ერთად დავაფუძნე და 2003 წლამდე ვიყავი „თსუ ლოგიკისა და ენის საზაფხულო სკოლის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი;

დ) 2002 წელს თსუ გმი-ში დავაფუძნე და 2007 წლამდე ვხელმძღვანელობდი ღია საუნივერსიტეტო სემინარს „ლოგიკა, ენა, გამოთვლელი“;

ე) 2003 წელს თსუ გმი-ში დავაფუძნე „ბარბარა პარტის სახელობის ლოგიკის, ენისა და გამოთვლელის წიგნთა ფონდი“

ვ) 2005 წელს დავაფუძნე ქართული ენის დღისადმი, 14 აპრილისადმი, მიძღვნილი ყოველწლიური რესპუბლიკური კონფერენცია „ლოგიკა, ენა, ინფორმატიკა“, რომელიც 2007 წელს უკანასკნელად ჩატარდა დასახელებით „ლოგიკა, ენა, გამოთვლელი“ (იხილეთ https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_2_2005.pdf და https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf მისამართებზე განთავსებული მასალები);

ზ) 2007 წელს, უნივერსიტეტში ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით ჩემს მიერ დაფუძნებული სასწავლო-სამეცნიერო პროცესების გაუქმების მერე (ესენია: თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია, თსუ 2006 წლის „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამის „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა (იხილეთ

ამგვარად, ახლა უკვე, ამ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მინდა კიდევ ერთი კითხვა დავუსვა საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტს და ეს კითხვა ასეთია: ჰქონდა თუ არა მას ინფორმაცია პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის ზემოთ ფრაგმენტულად ციტირებულ სიტყვაზე და, შესაბამისად, ჰქონდა თუ არა გააზრებული მაშინ უკვე მიმდინარე ციფრული რევოლუციის შესაძლო შედეგები ზოგადად ენებთან და მათ შორის ქართულ ენასთან მიმართებაში და თუ ჰქონდა, რატომ გააუქმა საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კომისია,⁹ იმიტომ ხომ არა, რომ ზედმიწევნით კარგად იცოდა იმ ღრმა სახელმწიფოებრივი ზრუნვის თაობაზე, რასაც ეს კომისია საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენის, ქართული ენის დაცვის თვალსაზრისებით იჩენდა და ეს მის იმ გეგმას, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისური უნდა გამოცხადებულიყო, ხელს შეუშლიდა?¹⁰

ხაზს ვუსვამ: არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ მე ამ და ზემოთ დაყენებულ მსგავს კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ მათზე პასუხებს ველოდები და ამ პასუხებზე დაყრდნობით

https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf მისამართზე განთავსებული მასალა)), ჩემს გარშემო თავმოყრილ სტუდენტებთან ერთად დავაფუძნე ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით მოხალისეობრივად მოქმედი „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ღია ინსტიტუტი“ (<https://geoanbani.com/other/gllc.ge/index.html>);

თ) 2009-2010 წლებში აკადემიკოს ილია ვეკუას ხსოვნისადმი მიძღვნილი თსუ გმი-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე ჩემი ინიციატივით, ინსტიტუტის დირექტორატის მხარდაჭერითა და ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით „მათემატიკური ლინგვისტიკა“ ცალკე სექციის სახით მოქმედებდა;

ი) 2011 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის მხარდაჭერით დაფუძნდა „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც 2020 წლიდან აკადემიკოს დავით გურგენიძის მხარდაჭერით მოქმედებს როგორც „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“ (<https://geoanbani.com/>, <https://geoanbani.com/HTML/archives.html> და <https://geoanbani.com/HTML/aboutUs.html> მისამართებზე განთავსებული მასალები), სადაც 2012 წლიდან

ამოქმედდა გრძელვადიანი პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, ხოლო 2015 წლიდან გრძელვადიანი პროექტი „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“;

კ) 2012 წლიდან საქართველოს მათემატიკოსთან კავშირის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე ცალკე სექციად დავაფუძნე „ბუნებრივი ენების ლოგიკა და გამოთვლითი ლინგვისტიკა“, რომელიც საწყისი მიზნისა და შინაარსის შენარჩუნებით 2019 წლიდან ფუნქციონირებს როგორც „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტის“ სექცია;

ლ) 2019 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით დაორგანიზდა თბილისის პირველი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ (იხილეთ <https://geoanbani.com/TbiLLAI/> და <https://geoanbani.com/TbiLLAI/Home/Staff/1> მისამართებზე განთავსებული მასალები (მეორე ასეთი სკოლის ორგანიზება დაგეგმილია მიმდინარე წელს)).

⁹ ამ კითხვას ამძაფრებს მისი კონტექსტი ანუ ის, რომ ევროკავშირის მიერ 2001 წელი ენების ევროპულ წლად (the European Year of Languages) იყო გამოცხადებული.

¹⁰ ეს კითხვა, ისევე როგორც ზემოთ დასმული მსგავსი კითხვა, ცხადია რიტორიკულია, რადგან ფაქტი ისაა, რომ ზურაბ ჟვანიას პოლიტიკიდან გასვლის თუ გაყვანის შემდგომ ანუ, ფაქტობრივ, ამ ბრძანებულება №720-ის გამოქვეყნების მერე საქართველოში დაიწყო მანამდე ქართული ენისა და მისი სახელმწიფო სტატუსის დაცვის მიზნებზე მიმართული შევარდნაძის ეროვნული პოლიტიკის სწრაფი ჩანაცვლება იგივე ქართული ენისა და მისი სახელმწიფო სტატუსის საზიანოდ მიმართული სააკაშვილის ანტიქართული და ანტიეროვნული პოლიტიკით! - აქ აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ <https://drive.google.com/file/d/1MLjLskZ--1uqe0Lr-wQwiXynLUVX9YK/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული 351 გვერდიანი მცირედ უხარისხო დოკუმენტური მასალის ჯერ ის ნაწილი, რომელიც განთავსებულია პდფ-ნუმერაციით 72-ე გვერდამდე, მერე კი დანარჩენი.

მინდა ავაგო ჩემი შემდგომი მსჯელობა! - არა, ეს ასე არ არის, ესენი, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკული შეკითხვებია და ჩემი მსჯელობის გასაგრძელებლად მე მათზე პასუხები არ მჭირდება, რადგან ამ არაუმნიშვნელო რიტორიკული კითხვებით უკვე გამოკვეთილ მეტად მნიშვნელოვან ვარაუდებს ანუ იმას, რომ საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის პოლიტიკური გუნდი მართლა ფიქრობდა საქართველოში ქართული ენის ნაცვლად სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადებას, ძლიერ ამყარებს აგრეთვე შემდეგი უტყუარი ფაქტობრივი მონაცემები:

1. 2004 წელს საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის პოლიტიკურმა გუნდმა „ჩარეცხა“ ანუ გააუქმა „საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი“, რითაც, ცხადია, მაშინ უკვე ინტენსიურად მიმდინარე „ციფრული რევოლუციის“ და, შესაბამისად, მაშინაც კარს მომდგარი „ციფრული ეპოქის“ ანუ, რაც იგივეა, „ხელოვნური ინტელექტის“ ეპოქის მიჯნაზე დიდი ზიანი მიაღდა ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებს, რაც იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენად სამომავლოდაც ქართულს განიხილავს, ცხადია არ უნდა გაეკეთებინა!

2. 2004 წელს საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის პოლიტიკურმა გუნდმა „ჩარეცხა“ ანუ გააუქმა „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა“, რითაც, ცხადია, დიდი ზიანი მიაღდა ქართული ენის საკონსტიტუციო სტატუსის დაცვის მიზნებს, რაც იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენად სამომავლოდაც ქართულს განიხილავს, ცხადია არ უნდა გაეკეთებინა!

3. 2006 წლის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ისტორიულად პირველი კონკურსის და, აგრეთვე, 2006 წლის სკანდალურად ცნობილი თსუ საუნივერსიტეტო კონკურსის შედეგად, რომელიც საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის პოლიტიკურმა გუნდმა დაგეგმა ანტიადამიანური და, ასევე, ანტიქართული, მათ შორის ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვის მიზნების საზიანო პოლიტიკური დღის წესრიგით, „ჩაირეცხა“ ანუ სრულად გაუქმდა:

3.1. უპრეცედენტო სამთავრობო და აკადემიური მხარდაჭერებით 2003 წელს ამოქმედებული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ (პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე), რითაც მაშინაც კარს მომდგარი „ციფრული ეპოქის“ ანუ, რაც იგივეა, „ხელოვნური ინტელექტის“ ეპოქის მიჯნაზე დიდი ზიანი მიაღდა ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებს, რაც იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენად სამომავლოდაც ქართულს განიხილავს, ცხადია არ უნდა გაეკეთებინა!

3.2. ზემოხსენებული უპრეცედენტო სამთავრობო და აკადემიური მხარდაჭერებით 2003 წლიდან მოქმედი თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით იმდროინდელი თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 2004 წელს დაფუძნებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია (საბაკალავრო სპეციალიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე), რითაც მაშინაც კარს მომდგარი „ციფრული ეპოქის“ ანუ, რაც იგივეა, „ხელოვნური ინტელექტის“ ეპოქის მიჯნაზე დიდი ზიანი მიაღდა ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებს, რაც იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენად სამომავლოდაც ქართულს განიხილავს, ცხადია არ უნდა გაეკეთებინა!

3.3. ზემოხსენებული უპრეცედენტო სამთავრობო და აკადემიური მხარდაჭერებით 2003 წლიდან მოქმედი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის კვლევითი

ინტერესების გათვალისწინებით იმდროინდელი თსუ 2006 წლის „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა (სამაგისტრო სპეციალობის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე), რითაც მაშინაც კარს მომდგარი „ციფრული ეპოქის“ ანუ, რაც იგივეა, „ხელოვნური ინტელექტის“ ეპოქის მიჯნაზე დიდი ზიანი მიადგა ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებს, რაც იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენად სამომავლოდ ქართულს განიხილავს, ცხადია არ უნდა გაეკეთებინა!¹¹

ამგვარად, 2005 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულება №720 და 2004-2006 წლების ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი მონაცემებით წარმოდგენილი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვის მიზნების საზიანო ქმედებები, ვფიქრობ, პირდაპირი და საკმარისი დასტურია მანამდე ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებზე მიმართული ენობრივი პოლიტიკის ცვლილებისა,¹² რაც იმას, რომ ამ

¹¹ ზემოთ, ჩვენ, ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ 2006 წლის სკანდალურად ცნობილი თსუ საუნივერსიტეტო კონკურსი დაგეგმილი იყო ანტიადამიანური და, ასევე, ანტიქართული პოლიტიკური დღის წესრიგით. მართლაც:

1. ეს კონკურსი ცხადია იყო ანტიადამიანური, რადგან ამ კონკურსით ძლიერ არაადამიანურად მოექცნენ იმ საუნივერსიტეტო კადრებს, რომლებიც ქვეყნის აღმშენებლობის მიზნებით წლების განმავლობაში ფაქტიურად უხელფასოდ ინარჩუნებდნენ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს აკადემიურ სივრცეს! - საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური გუნდის ეს ქცევა და ქმედება შეიძლება შედარდეს მისსავე იმ ბრიყვულ და ბოროტ საპარლამენტო გამოსვლას, სადაც მქუხარე ტაშის ქვეშ დაალოზუნა „წვრილმან დანაშაულსაც კი ნულოვანი ტოლერანტიზმიო!“ და „ხელი არ აგიკანკალდეთო!“ - ადრეც აღვნიშნე და არც ახლა მაქვს სურვილი გავცდე ჩემი კომპეტენციის ფარგლებს და უფრო ფართო ანალიზი გავაკეთო ამ №720 ბრძანებულებისა, თუმცა, ვფიქრობ, ბუნებრივია, და მიჩნდება კითხვები იმის თაობაზე, რომ ეს ბრძანებულება გარდა ზემოაღნიშნულისა ასევე ხომ არ ააშკარავებს ძირ მიზეზებს იმისა, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ადამიანური ანუ ეკონომიკური და მშვიდობიანი ბერკეტებით დარეგულირების მანამდე არსებული პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა სწრაფი ტემპებით ჩანაცვლდა ომის ანუ ე.წ. „ქორების“ პარტიებისთვის დამახასიათებელი აგრესიული რიტორიკითა და ქცევებით, რისი მიზნით შედეგებიც 2008 წლის აგვისტოში მოვიმკეთ!

2. ეს კონკურსი ცხადია იყო ანტიქართული, რადგან განა ანტიქართული არ არის თითქმის ძალადობრივად შეაჩერო საქართველოში, კერძოდ კი პირველ ქართულ უნივერსიტეტში ქართული ენის მკაცრი მათემატიკური მეთოდებით შესწავლისა და სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით 50 წლიანი დაგვიანებით ძლივს დაწყებული და მეტად მაღალი შედეგებით მიმდინარე ის პროცესები, რომელთა მიზანი იყო მაშინ უკვე მიმდინარე ციფრული რევოლუციის ფონზე ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვა და, შესაბამისად, მომავლის ციფრულ ეპოქაში ანუ, რაც იგივეა, ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ქართველი ერის კულტურული მემკვიდრის შენარჩუნება! - აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf> მისამართზე გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც მეუფე დავით ალავერდელის შეწევით, პატრიარქის კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოიცა 2009 წელს. აგრეთვე, იხილეთ https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf მისამართზე გამოქვეყნებული ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, რომელიც გამოიცა 2007 წელს საწარმო „ვისოლის“ ქველმოქმედებითი მხარდაჭერით.

¹² როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ვაფასებ პრეზიდენტ შევარდნაძის ღვაწლს საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში, თუმცა, მაშინ, როცა ის თბილისის სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა, ეს ასე არ იყო. - ისტორიას ახასიათებს გამორჩეული ადამიანების წინ წამოწევა და 20-ე საუკუნემ ასეთებად წარმოაჩინა თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებლები, ღვთით დალოცვილი მერაბი და ზვიადი.

ცვლილების განმახორციელებელი პოლიტიკური გუნდი მართლა ფიქრობდა საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადებაზე, საკმარისად სარწმუნოდ და საკმარისად დასაბუთებულად წარმოგვიჩენს.¹³

მათი ტრაგიკული და თავგანწირული ცხოვრების, მაშინდელი ეროვნული მოძრაობის, პარტიული და უპარტიო ქართული საზოგადოების გულწრფელი ეროვნული მისწრაფებებით გაერთიანებულ ქართველ ერზე გადმოსული ღვთის წყალობის შედეგია თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველო და ჩემთვის, როგორც 9 აპრილის თაობის ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენლისთვის, თბილისის სამოქალაქო ომი ტრაგედიასთან ერთად არის ნიმუში იმისა, რა დღეში აგდებს ქვეყანას საზიანო უცხოური გავლენები და გაუთვლელი სახელმწიფო პოლიტიკა.

სწორედ ამ ორმა, საზიანო უცხოურმა გავლენებმა და გაუთვლელმა სახელმწიფო პოლიტიკამ, განაპირობა ის, რომ ვითომ ქართული საქმის მკეთებელმა აგრესიულად განწყობილმა საზოგადოების უცხო ძალის მიერვე შეიარაღებულმა ნაწილმა იარაღის ძალით დაამხო მანამდე ცოტა ხნით ადრე უდიდესი ელექტორალური მხარდაჭერით ქვეყნის მმართველობაში დემოკრატიულად მოსული ხელისუფლება.

მე ამ ყველაფრის შემყურე და არა მარტო შემყურე, ამას მეტად მტკივნეულად განვიცდიდი, რადგან შიში მქონდა, რომ ეს უკვე დაწყებული შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირება საბოლოოდ გაანადგურებდა 9 აპრილის უმანკო და თავგანწირული მსხვერპლით მოპოვებულ ქართულ დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, ჩემი მაშინდელი დამოკიდებულება მოსკოვიდან ჩამოსული შევარდნაძისადმი ამის შესაბამისი იყო.

თუმცა, 1995 წლის 29 აგვისტოს აფეთქების შემდეგ, ანუ, მას შემდეგ, რაც მან თანდათან ალაგმა უცხოური გავლენით მოქმედი ძველი და ახალი ძალები და დაიწყო ზრუნვა ქვეყანაში მაშინ არსებული გახლეჩილობის დაძლევისა და ქვეყნისთვის გეოპოლიტიკური ფუნქციის დაბრუნებისთვის, ჩემთვის გასაგები გახდა ის, რომ ამ 29 აგვისტოს აფეთქებისას მისი გადარჩენა კიდევ ერთი ღვთის წყალობა იყო, რის გარეშეც, ცხადია, უმძიმეს ეპოქებს გამოვლილი საქართველო დღემდე ვერ მოვიდოდა მამულით, ენითა და სარწმუნოებით.

მერე და მერე პრეზიდენტ შევარდნაძისადმი ჩემი ეს დამოკიდებულება სულ უფრო მყარდებოდა და დასტური იმისა, რომ მე არ შევმცდარვარ არის <https://drive.google.com/file/d/1-IY9H-hy8T50zZlwVXNbi1QUObMKTygO/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული მისი ეპოქალური მნიშვნელობის 2002 წლის სიტყვა, რომლის მცირე ნაწილის ჩემულ თარგმანს თქვენ უკვე გაეცანით.

თუ ჩვენი ყოველი დღის გზამკვლევადა ავიღებთ იმას, რომ „კაცი ცხონდება არა შურით, არამედ მადლიერებით“ და თუ 21-ე საუკუნის 25 წლიან ქართულ ისტორიას საღი თვალთა გადახედვად, ის ადამიანი, რომელიც, მსგავსად მერაბისა და ზვიადისა, ქართველ ერს ღვთის წყალობითა და საკუთარი თავგადადებული არჩევანითვე მიეცა, არის დღეს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საპატიო თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი, რადგან ის, რომ დღეს, ჩვენ, დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და დემოკრატიული საქართველოს მოქალაქეები ვართ და გვაქვს იმის ფუფუნება ვიმსჯელოთ ქართულ ენაში ქართველი ერის კულტურული მემკვიდრის დაცვისა და შენარჩუნების საკითხებზე, არის მისი სიმართლესა და სამშობლოს სიყვარულზე დამყარებული მრავალწლიანი გონივრული პოლიტიკის შედეგი.

ამდენად, ამ ყველაფრისთვის, მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი ქართველი, სამი შვილის მამა და ორი შვილის ბაბუა, ღრმად მადლიერი ვარ როგორც პირადად მისი, ისე გახარიას გადადგომის მერე მის გვერდით მტკიცედ მდგარი ქართული ოცნების უკვე მრავალჭირგამოვლილი პოლიტიკური გუნდის! - ღმერთო დალოცე, გააერთიანე, გაამრავლე და გაახარე საქართველო!! - თუმცა, ისიც სათქმელია, რომ საქმე ბოლომდეა მისაყვანი და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ღმერთისა და უღმერთო ადამიანებს შორის მიმდინარე მეტად მძაფრი დაპირისპირება, უფლის მარილის ანუ ღრმა სიმართლის ანუ ღმერთის ადამიანების გამარჯვებით დასრულდება!!!

¹³ ის მიმიმე ბრალდება, რაც მე პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის მერე წინამდებარე ღია წერილით/განცხადებით ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ ქვეყნის მმართველობაში მოსულ საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტსა და მის პოლიტიკურ გუნდს წაუუყენე, კიდევ უფრო მყარდება მათი მმართველობის პერიოდში მათი მხრიდან მეტად ინტენსიურად მიმდინარე საუბრებით საქართველოს სინგაპურიზაციაზე, სადაც ინგლისური ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო ენაა.

გარდა ამისა, აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე ე.წ. ლაზიკა და მისი თავისუფალი ეკონომიკური ზონის მათეული მოდელი, სადაც ინგლისური სამართლის დაყენებაზე ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის“

ანუ, უკვე წარმოდგენილი მასალებით უკვე საკმარისი სიცხადით დასაბუთდა ის, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვის მიზნებზე მიმართული პრეზიდენტ შევარდნაძის დროინდელი ეროვნული პოლიტიკა საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის მმართველობის პერიოდის პირველ წლებშივე თანდათან და გეგმაზომიერად ჩანაცვლდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვის მიზნების საზიანო ანტიეროვნული პოლიტიკით, რაც სრული სიცხადით ასაბუთებს იმას, რომ საქართველოს ამ ე.წ. მესამე პრეზიდენტისთვის მთავარი იყო არა მამული, ენა, სარწმუნოება, არამედ რაღაც სხვა!

02. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“ ანუ „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“ ანუ „მამული ენა, სარწმუნოება“ ანუ იმის შესახებ, თუ რა კეთდება დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების დასაცავად ანუ კვლავ ქალბატონი თეა წულუკიანისათვის: ღია წერილის/განცხადების ამ მეორე ნაწილის დასასათაურებლად არაკითხვითი ფორმით მე გამოვიყენე 2021 წლის ქალბატონი თეას მიერ დასმული შეკითხვის განზოგადებული ვერსია.

საქმე ისაა, რომ 2021 წლის 19 მარტს ქალბატონმა თეამ, როგორც ჯერ კიდევ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, დააორგანიზა მეტად მნიშვნელოვანი საპარლამენტო შეხვედრა ასევე მეტად მნიშვნელოვანი კითხვა-მოწოდებით: „რა კეთდება დღეს ქართული ენის დასაცავად?“¹⁴

პარტიათა ჯგუფის წარმომადგენლები 2012 წლის მერვე აგრძელებდნენ ინტენსიურ საუბრებს, რაც იმის დასტურია, რომ მათი ეს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის წინააღმდეგ მიმართული გეგმები ისევ ძალაშია და, ამდენად, ჩვენ, რადგან ჩვენთვის ქართულ დროშაზე კვლავ ილიასეული მამული, ენა, სარწმუნოებაა გამოხატული, ფხიზლად და ყურადღებით უნდა ვიყოთ.

და კიდევ ერთი ბრძანებულება №720-თან დაკავშირებით: როგორც ადრევე აღვნიშნე, არ მაქვს სურვილი გავცდე ჩემი კომპეტენციის ფარგლებს და უფრო ფართო ანალიზი გავაკეთო ამ №720 ბრძანებულებისა, თუმცა, ვფიქრობ, ეს ბრძანებულება ასევე ააშკარავებს ძირ მიზეზებს იმისა, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ეკონომიკური და მშვიდობიანი ბერკეტებით დარეგულირების მინამდელი პოლიტიკა სწრაფი ტემპებით ჩანაცვლდა ომის ანუ ე.წ. „ქორების“ პარტიებისთვის დამახასიათებელი აგრესიული რიტორიკითა და ქცევებით, რისი მძიმე შედეგებიც 2008 წლის აგვისტოში მოვიმკეთ!

¹⁴ მე მქონდა პატივი დავსწრებოდი ქალბატონი თეას მიერ ორგანიზებულ ამ შეხვედრას, სადაც ბატონი ლადო კახაძის მიერ დასმულმა შეკითხვამ იმის თაობაზე, თუ „რა ემუქრებოდა ქართულ ენას?“, მომცა საშუალება, საქართველოს პარლამენტში გამესვა ხაზი იმისათვის, რომ თავად ევროპელების მიერვე ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ქართული ენა, როგორც ენობრივი რესურსებითა და ტექნოლოგიებით არასაკმარისად მხარდაჭერილი ენა, ისევე როგორც იგივე მიზეზების გამო მთელი რიგი სხვა ევროპულ ენები, ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა შორისაა და რომ აღნიშნული ვითარების გაუთვალისწინებლობა, მით უფრო, რომ აფხაზური ენა, საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა, კიდევ უფრო მაღალი საფეხური ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშაა, ვიდრე ქართული, ყოვლად დაუშვებელია!

იმ დღეს, ჩემი ამ განცხადების შემდეგ, მე მქონდა კომუნიკაცია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ბატონ გია ალიბეგაშვილთან და, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრთან, ქალბატონ თამარ ტალიაშვილთან, რომელიც, მაშინ, იმავდროულად იყო საქართველოს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრი.

ამასთან, ამ შეხვედრებსა და კომუნიკაციებს შედეგად მოჰყვა ის, რომ 2021 წლის 21 აპრილიდან ბატონი გია ალიბეგაშვილის შემოთავაზებით გავხდი საქართველოს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრი და აქტიურად ჩავერთე სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) (იხილეთ <https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf> მისამართზე) შემუშავებაში და იმან, რომ 2021 წლის 27 დეკემბერს

ანუ, წინამდებარე ღია წერილის/განცხადების ამ ნაწილში მე საუბარი მექნება იმის თაობაზე, თუ რა კეთდება დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართული და აფხაზური ენების დასაცავად, რადგან, ამ შემთხვევაშიც, ამას, გარდა ჩემი კომპეტენციისა, მე მავალდებულებს ჩემს ხელთ არსებული ის ფაქტობრივი მოცემულობები, რომელთა შესახებ ფართო ქართული საზოგადოება ფაქტობრივ არ არის ინფორმირებული, არადა დღეს ასე გაძლიერებული ანტიქართული ანუ ანტისამთავრობო პროპაგანდის ფონზე ვფიქრობ მათზე ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას აუცილებლად უნდა მიეწოდოს!

საქმე ისაა, რომ საქართველოს მთავრობის ანუ საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ძლიერი მხარდაჭერით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისიდან სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით ამოქმედდა საქართველოს სახელმწიფო ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებზე პირდაპირ მიმართული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“, რითაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე კარს მომდგარი და სანახევროდ უკვე ამოქმედებული ციფრული ეპოქის ანუ, რაც იგივეა, ხელოვნური ინტელექტის ეპოქის მიჯნაზე გადაიდგა ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვისა და საქართველოს მშვიდობიანი გზებით გაერთიანების მიმართულებით. - დასტურად იმისა, რომ ეს მართლაც ასეა და, აგრეთვე, იმ მიზნით, რომ ეს ყველაფერი უფრო გასაგები გახდეს:

1. იხილეთ <https://gtu.ge/News/27757/> და <https://gtu.ge/News/26241/> მისამართებზე განთავსებული მასალები და, ასევე, საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ აგრეთვე https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing მისამართზე განთავსებული 77 გვერდიანი ნაშრომი „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის პროგრამული დაფინანსების 2025-2029 წლების გეგმა“, რომელიც ამ ზემოხსენებული ანუ ფორმალურად 2025 წლის აპრილის თვეში უკვე მეორედ დაფუძნებული და 2025 წლის 15 მაისიდან უკვე ამოქმედებული კვლევითი ინსტიტუტის ის პროექტია, რომელსაც 2024 წლის დეკემბერში, ბატონი ირაკლი კობახიძის პრემიერობის დროს, განსაკუთრებული

პრემიერის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) წინასიტყვაობაში ბატონი გაია ალიბეგაშვილი იმას ამბობს, რომ „21-ე საუკუნე „ციფრული კვდომის“ საუკუნედ არის მიჩნეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების არსი სცილდება მხოლოდ რეალურ სივრცეში ენის სტატუსის დაცვას. ენის ნამდვილი გადარჩენა და მისი მომავალში არსებობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სრულფასოვანი იქნება ამ ენის ფუნქციონირება ინტერნეტში, რამდენად იქნება განვითარებული ენობრივი ტექნოლოგიები“, ფრიად გამახარა, რადგან ეს ამავე წინასიტყვაობის ბოლო აბზაცთან ერთად სწორედ ის მთავარი ორიენტირია, რომელსაც უნდა მივყვეთ და დავეყრდნოთ. - მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით აქვე ვცვიტებ ამ ზემოხსენებული წინასიტყვაობის ამ ბოლო აბზაცს: ყველა ჩამოთვლილი პრობლემა მოითხოვს ახალ მიდგომებსა და მეთოდოლოგიას, ენის საკითხებზე ორიენტირებული, განსაკუთრებით კი ქართველოლოგიური მიმართულების ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების თანამედროვე დონის შესაბამისად წარმართვას, ამ კვლევების სწორ ინტერნაციონალიზაციასა და პოპულარიზაციას, სწორ საკადრო დაგეგმარებას და მეცნიერული თაობების ჯანსაღი ცვლისა და მემკვიდრეობითობის ხელშეწყობას.“

და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუკეთა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე წულაძემ.¹⁵

ამასთან, იმ მიზნით, რომ უფრო გასაგები გახდეს ამ კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების ნამდვილად ისტორიული და სტრატეგიული მნიშვნელობები, იხილეთ ზემოწარმოდგენილი ნაშრომის 1 და 2 პარაგრაფები, რომელთა სათაურებია „წინათქმა ანუ პროექტის ხელმძღვანელის გულწრფელი მიმართვა მინისტრისადმი, რომელიც, მსგავსად წინა მინისტრისა, იმედია, მხარს დაუჭერს მოწოდებით „ქართული და აფხაზური ენების, კულტურებისა და ტრადიციებით მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველოთი ევროპისკენ“ მოქმედი კვლევითი ინსტიტუტის საბიუჯეტო დაფუძნების საკითხის დადებითად გადაწყვეტას“ (მე-2 - მე-7 გვ.-ები) და „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების მიზეზები და მიზნები“ (მე-8 - მე-13 გვ.-ები). - ეს მკითხველს მართლაც დაარწმუნებს იმაში, რომ ინსტიტუტი ფუძნდება ქართველი ერისთვის ისეთი ისტორიული და სტრატეგიული მნიშვნელობების მქონე მიზნებით, როგორებიცაა ქართული და აფხაზური ენების, კულტურებისა და ტრადიციების დაცვა, ქართველებსა და აფხაზებს შორის დღეს ჩატეხილი ხიდების აღდგენა და მხოლოდ მშვიდობიანი გზებითა და საშუალებებით საქართველოს აუცილებელი გაერთიანება!!!

2. იხილეთ <https://gtu.ge/News/23636/> და <https://gtu.ge/News/23645/> მისამართებზე განთავსებული მასალები და, აგრეთვე, იხილეთ <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkkeo0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე წინასარედაქციო ფორმით გამოქვეყნებული ჟურნალის „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ 62-ე - 134-ე გვერდებზე განთავსებული 71 გვერდიანი ნაშრომი სათაურით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის პროგრამული დაფინანსების 2024-2028 წლების გეგმა“, რომელიც ზემოწარმოდგენილი 77 გვერდიანი საინსტიტუტო პროექტის ის პირველი საწყისი ვერსიაა, რომლის ცენტრის სახით საბიუჯეტო დაფინანსებას 2023 წლის 27 დეკემბერს ძლიერად დაუჭირა მხარი საქართველოს იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და, აგრეთვე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის იმდროინდელმა მინისტრმა, ბატონმა გიორგი ამილახვარმა. ამასთან, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს 2023 წლის პროექტი თითქმის არ განსხვავდება ზემოთ უკვე მიმოხილული 2024 წლის პროექტიდან.¹⁶

ანუ, ზემოდასმულ ქალბატონ თეასეულ კითხვას იმის თაობაზე თუ რა კეთდება დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების დასაცავად, ჩემი კომპეტენციისა და ჩემს ხელთ არსებული ფაქტობრივი მოცემულობების გათვალისწინებით შემდეგ პასუხს ვცემ: რომ არა 2023 წლის 29 დეკემბერს, არც თუ მთლად მოულოდნელად, მაგრამ მეტად მძიმედ გართულებული ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამაც ქმედითუნარიანობა

¹⁵ თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ნაცვლად პროექტით წარდგენილი ბიუჯეტისა, 2024 წლის 29 დეკემბერს სამინისტროში საპროექტო ჯგუფის წევრებსა და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის შემდგარი საქმიანი შეხვედრისას საბოლოო შეთანხმება მოხდა 128 ათას ლარიან წლიურ ბიუჯეტზე, რაც, მერე უკვე, 7.5 თვეზე 82622 ლარიანი სახელფასო ბიუჯეტით განისაზღვრა.

¹⁶ აქ, მეტი სიცხადისთვის, უნდა ითქვას, რომ ეს 2023 წლის 71 გვერდიანი პროექტი ზემოთ უკვე მიმოხილული 2024 წლის 77 გვერდიანი პროექტისგან არსებითად განსხვავდება მხოლოდ საშტატო განრიგით და ბიუჯეტით.

თითქმის სრულად წამართვა თითქმის რვა თვის განმავლობაში, ქართული და აფხაზური ენების, კულტურებისა და ტრადიციების დაცვის, ქართველებისა და აფხაზებს შორის დღეს ჩატეხილი ხიდების აღდგენისა და მხოლოდ მშვიდობიანი გზებითა და საშუალებებით საქართველოს აუცილებელი გაერთიანების მიზნებით მოქმედი ინსტიტუტი ცენტრის სახით 2024 წლის იანვრიდან უკვე ამოქმედებული იქნებოდა! - ეს, პირადად ჩემთვის, პირდაპირი დასტურია იმისა, რომ, დღეს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა არამხოლოდ აღადგინა საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენის, ქართული ენის დაცვის მიზნებზე პირდაპირ მიმართული შევარდნადის დროინდელი ეროვნული პოლიტიკა, არამედ პირველი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ პოლიტიკის მაქსიმალურად გაფართოების, გაძლიერებისა და გაღრმავების მიმართულებით და ქართულთან ერთად ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების ქვეშ მოაქცია აგრეთვე აფხაზური ენა.

ეს კი, მიუხედავად იმ დიდი ზიანისა, რაც საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის 9 წლიანი ანტიქართული პოლიტიკით საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებს მიაღწა, იმედს იძლევა, რომ ქართველი ერის სუვერენული ინტერესების გამომხატველი ქართული სახელმწიფო მაინც გაართმევს თავს კარს მომდგარი ხელოვნური ინტელექტის ეპოქის კულტურულ გამოწვევებს და მაინც შეძლებს „ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ სრულყოფილად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის კონსტრუირებას, რის გარეშეც ჩვენ ციფრული კვდომის საფრთხისგან ვერც ქართული და ვერც აფხაზური ენის დაცვას შევძლებთ და, შესაბამისად, ვერც იმას შევძლებთ, რომ ჩვენი დიდი წინაპრებით დღემდე ჩვენამდე მოტანილი მამული, ენა, სარწმუნოება მოწოდებით მოფრიალე დროშა მომავალ თაობებს გადავცეთ!

03. „დღევანდელ მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების გარეშე გლობალურ კონკურენციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება შეუძლებელია“ ანუ იმის შესახებ, თუ რაში გვჭირდება პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მხარდაჭერა: ნაშრომის ამ ნაწილის სათაურში წინწკლებით გამოტანილი ფრაზა სრული ჭეშმარიტებაა და, ჩემი ინფორმაციით, ეს სიტყვა პირველად ითქვა 2024 წლის 19 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის მიერ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, სადაც ხელოვნური ინტელექტი სამიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ სტარტაპ მიმართულებად გამოცხადდა.

აქ უნდა ითქვას, რომ ამ 10 წლის წინ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ჩვენ ცენტრმა სტარტაპ-პროექტის სახით წარუდგინა შემდეგი: „პროექტის „კომპანიის - „ქართული ენობრივი ტექნოლოგიები“ - დაფუძნება“ ბიზნესგეგმა“.¹⁷

ეს სასტარტაპო პროექტი გამიზნული იყო შეემუშავებინა მრვალფუნქციური „ქართული ჭკვიანი ფურცელი“, რაც საბოლოო ჯამში გამიზნული იყო ქართულ ენაში ხელოვნური ინტელექტის ამოცანის სრულ და ამომწურავ გადაწყვეტაზე ანუ ქართული ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე. - ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სასტარტაპო

¹⁷ იხილეთ <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/1.pdf> მისამართზე გამოქვეყნებული ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ 159-ე - მე-200 გვერდებზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ DO/305/4-105/14, DO/308/4-105/14 და AR/122/4-105/14 პროექტებზე გაღებული საგრანტო მხარდაჭერებით გამოქვეყნებული ნაშრომი.

პროექტში ჩვენ ვწერდით: „ჩვენი სტარტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის მისი მიზანი ანუ ციფრული კვდომის საფრთხისგან ქართული ენის დაცვისათვის მისი სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რითაც ჩვენ სრულ თანმთხვევაში ვართ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ენის შესახებ“ 37-ე მუხლის 3-ე პუნქტის გ) ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას.“

ანუ, 10 წლის წინ სტარტაპ სივრცეში ხელოვნური ინტელექტი პრიორიტეტი რომ ყოფილიყო, ჩვენი ეს აქ წარმოდგენილი ქართული ენის დაცვის მიზნებზე მიმართული სასტარტაპო განაცხადი ცხადია დაუფინანსებელი არ დარჩებოდა!

გარდა ამისა, აქ, კიდევ ერთხელ, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: იმით, რომ 2006 წელს თსუ-ში „ჩაირეცხა“ ანუ სრულად გაუქმდა 2000-2001 წლებში შემუშავებული და 2003 წლიდან ამოქმედებული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, ამ პროგრამის კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით თსუ-ში 2004 წელს ამოქმედებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალობა და 2006 წლის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში ცალკე მოდულის სახით დაფუძნებული „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა, დიდი ზიანი მიაღწა საქართველოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების იმ პროცესს, რომელიც ემსახურებოდა ქართულ ენაში ხელოვნური ინტელექტის ამოცანის სრული და ამომწურავი გადაწყვეტის ანუ ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნებს.

ეს საკითხი ჩვენ ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ, თუმცა ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურად და თითქმის ამომწურავად არის მიმოხილული აგრეთვე <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkkeo0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე წინასარედაქციო ფორმით განთავსებული ჟურნალის „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ მე-4 - 61-ე გვერდებზე გამოქვეყნებული ნაშრომის „ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნების მიზნები, პრობლემები და სამოქმედო გეგმა“ პირველ პარაგრაფში სათაურით „შესავალი ანუ მოკლედ საკითხის წინა ისტორიის შესახებ“ (მე-4 - მე-11 გვერდები). - ანუ, საქართველოში არა ზოგადი ანუ უნივერსალური, არამედ კერძო, ქართველოლოგიური ანუ ქართული ენის დაცვის მიზნებზე მიმართული ხელოვნური ინტელექტი 2003 წლიდან უკვე სახელმწიფო-მიზნობრივ საფეხურზე იყო აყვანილი და რომ არა საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ქართული ენის დაცვის მიზნების საზიანო პოლიტიკა, დღეს, ასე საშური 2024 წლის 19 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებული გადაწყვეტილება საქართველოში ხელოვნური ინტელექტის აუცილებელ აქტუალიზებაზე, ქართული ენისთვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობების მქონე, როგორიც არის, არ იქნებოდა!

ასევე, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამავე მიზნებს ანუ ქართულ ენაში ხელოვნური ინტელექტის ამოცანის სრული და ამომწურავი გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებოდა სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში“ 2012 წლიდან ამოქმედებული გრძელვადიანი პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“.

უნდა ითქვას ისიც, რომ სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში“ იმავე

მიზნებით ოღონდ აფხაზურ ენასთან მიმართებით 2015 წლიდან ამოქმედდა გრძელვადიანი პროექტი „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“.

ამასთან, დასტურად იმისა, რომ ეს გრძელვადიანი პროექტები შედეგიანად ვითარდებოდა იხილეთ <https://rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi-damecnierebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken>

მისამართზე განთავსებული მასალა, სადაც ამ ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი პროექტების ფარგლებში ცენტრის მიერ 2017 წლამდე წარმოებული კვლევები შეფასებულია „როგორც ციფრული კვდომის საფრთხისგან: 1. ქართული ენის დაცვის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად; 2. აფხაზური ენის დაცვის მიმართულებით გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად“, რაც სრული სიცხადით დასტურდება აგრეთვე <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/2.pdf> მისამართზე გამოქვეყნებული მონოგრაფიული ნაშრომითა და <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/3.pdf> მისამართზე არსებული ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ 65-ე - 95-ე გვერდებზე გამოქვეყნებული ნაშრომით „სადოქტორო თემის - „ქართული ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“.

ანუ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რადგან ეს ფრიად მნიშვნელოვანი: ის, რომ 2025 წლის 15 მაისიდან

https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing

მისამართზე წარმოდგენილი საინსტიტუტო პროექტის საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ამოქმედდა „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“, პირდაპირი დასტურია იმისა, რომ გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ უალტერნატივო სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც პრემიერმა მეტად მოკლედ და მეტად მკაფიოდ შემდეგი სიტყვებით ჩამოაყალიბა „**დღევანდელ მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების გარეშე გლობალურ კონკურენციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება შეუძლებელია**“, რაც, ცხადია, გულისხმობს იმას, რომ ამ დღეს უკვე კარს მომდგარ და სანახევროდ უკვე ამოქმედებულ ხელოვნური ინტელექტის ეპოქის მიჯნაზე საქართველოში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით კვლევები უნდა განვითარდეს საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, სწორედ არის მთავარი მიზანი იმ 15 მაისიდან უკვე ამოქმედებული ინსტიტუტის, რომელშიც უკვე ორჯერ მხარდაჭერილი საინსტიტუტო პროექტის თანახმად იფუნქციონირებს „ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილება“ და „ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსების და ტექნოლოგიების ლაბორატორია“.

ამასთან, ის, რომ ზემოხსენებული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ დაფუძნება-ამოქმედებას მხარი დაეჭირა ჯერ 2023 წლის 27 დეკემბერს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის მიერ და, მერე, მეორეჯერ 2024 წლის 29 დეკემბერს პრემიერ ირაკლი კობახიძის მთავრობის მიერ, პირადად ჩემთვის, მეტად ცხადი დასტურია იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფო საფეხურზე დააბრუნა ე.წ. მესამე პრეზიდენტის მიერ გაუქმებული პრეზიდენტ შევარდნაძის დროინდელი ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, ოღონდ,

ისე, რომ ამჯერად უკვე ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებთან ერთად დღის წესრიგში დადგა აგრეთვე საქართველოს მეორე სახელმწიფო ენის, აფხაზური ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებიც!!! - ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებზე მიმართული პოლიტიკის დაბრუნებას „ქართული ოცნება“ 12 წელი მოუწდა, ახალგაზრდობისთვის ანუ მათთვის, ვისაც მხოლოდ ორჯერ 12 ან/და სამჯერ 12 წელი აქვთ ნაცხოვრები, ძნელი გასაგებია, და ეს ასეა მიუხედავად იმისა, სამართალი რომ ურმით დადის, მათთვისაც კარგად არის ცნობილი.¹⁸

ამ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და, აგრეთვე, იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის კიდევ უფრო გასაგები გავხადოთ ის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების დასაცავად იდგმება და აგრეთვე ის, თუ რაში გვჭირდება პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მხარდაჭერა იხილეთ <https://gtu.ge/News/26529/> და <https://gtu.ge/News/26241/> მისამართებზე განთავსებული იმ საუნივერსიტეტო ღონისძიებების ამსახველი მასალები, რომლებიც აფხაზური ენისა და ევროპული ენების დღეებისადმი იყო მიძღვნილი. ამასთან, ხაზს ვუსვამ: ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით ინფორმაციულია <https://gtu.ge/News/26241/> მისამართზე მოცემული ტექსტი მთელი თავისი მოცულობით, თუმცა აქ ვცитირებ ამ ტექსტის მხოლოდ ბოლოდან მეოთხე აბზაცს, სადაც ხაზგასმულია შემდეგი:

(ციტატის დასაწყისი)

საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძისა და აკადემიური საბჭოს მხარდაჭერით და, აგრეთვე, სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) შესაბამისად უკვე დაგეგმილია ფაკულტეტთაშორისო სამსაფეხურიანი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სასწავლო პროგრამის „ციფრული ჰუმანიტარია და გამოთვლითი ლინგვისტიკა“ დაფუძნება-ამოქმედება.

(ციტატის დასასრული)

ანუ, ამ ღია წერილის/განცხადების ეს ნაწილი, გარდა იმისა, რომ აღრმავებს ზემოთ უკვე წარმოდგენილ ხედვებსა და ფაქტობრივ მოცემულობებს იმის თაობაზე, თუ რა კეთდება დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების დასაცავად, აგრეთვე წამოჭრის იმ პრობლემატიკას, რაშიც ჩვენ გვჭირდება პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მხარდაჭერა, რადგან ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების გათვალისწინებით სასიცოცხლოდ საჭირო „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნება-ამოქმედება აუცილებლობით ითხოვს საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და

¹⁸ თუმცა ან/და იქნებ სწორედ ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ და მათაც ანუ ამ ახალგაზრდებსაც უნდა გავაგებინოთ სიმართლის სიმართლე ანუ უფლის მარილი, რადგან ამ რთულ დროში საქართველოს მხოლოდ ღმერთის ადამიანების ანუ მამული, ენა, სარწმუნოებით მოქმედი თანამოქალაქეების ისეთივე მყარი და მართალი ერთობა თუ გადაარჩენს, როგორი ერთობაც გიორგი გახარიას პრემიერობიდან გადადგომის მერე ღვთის წყალობით დღეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ, სახელისუფლებო და სამთავრობო გუნდებში!

სწავლის სფეროების ჩამონათვალში¹⁹ ცალკე სპეციალობად გამოთვლითი ლინგვისტიკის (ენათმეცნიერების) ინტერდისციპლინური მიმართულების დამატებას.²⁰

ანუ, რომ უფრო გასაგები გახდეს ეს ზემოაღნიშნული, იხილეთ <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkdeo0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე წინასარედაქციო ფორმით განთავსებული ჟურნალის „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ მე-4 - 61-ე გვერდებზე გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნების მიზნები, პრობლემები და სამოქმედო გეგმა“,²¹ კერძოდ:

1. იხილეთ ამ ნაშრომის პირველი პარაგრაფი სათაურით „შესავალი ანუ მოკლედ საკითხის წინა ისტორიის შესახებ“ (მე-4 - მე-11 გვერდები) - ეს იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო გასაგები გახდეს ის, თუ „რა დიდი ზიანი მიაღება ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში 2001-2004 წლებამდე სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნით საქართველოში მზარდი ტემპებით მიმდინარე პროცესებს, რითაც - კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია - არსებითად განპირობდა ის, რომ დღეს ქართული და მით უფრო აფხაზური ენები ციფრული კვდომის მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშ არიან“;
2. იხილეთ ამ ნაშრომის მესამე პარაგრაფის „სტუ-ში 2024 წლის სექტემბრიდან ასამოქმედებელი სასწავლო პროგრამის „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ მსგავსი საუნივერსიტეტო პროგრამების მოკლე მიზნობრივი მიმოხილვა“ 21-ე - 23-ე გვერდებზე განთავსებული მასალა. - ეს იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის ცხადი და გასაგები გახდეს, რომ გამოთვლითი ლინგვისტიკა ხელოვნური ინტელექტის ზოგადი პრობლემატიკის ის ვიწრო სექტორია, რომელიც დღეს იწოდება როგორც ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი და რომელიც პირდაპირ მიმართულია სხვადასხვა ბუნებრივი ენების სრული ტექნოლოგიური

¹⁹ იხილეთ <https://gtu.ge/GTU/pdf/aqtebi/legalact15052/6.pdf> მისამართზე განთავსებული ბრძანება №69/ნ.

²⁰ კიდევ ერთხელ ვაკეთებ ხაზგასმას, რადგან ეს მნიშვნელოვანია: ის, რასაც ადრე მათემატიკურ ლინგვისტიკას უწოდებდნენ, დღეს იწოდება გამოთვლითი ლინგვისტიკად და, ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, ამ ორი განსხვავებული სახელით წარმოდგენილი ინტერდისციპლინური სფეროს თანამედროვე სახელწოდებაა ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი, რაც, თავის მხრივ, და ამასაც ვიმეორებ, რადგან ესეც ფრიად მნიშვნელოვანია, არის ხელოვნური ინტელექტის ზოგადი სფეროს ის სექტორი, რომელიც ბუნებრივი ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ანუ, რაც იგივეა, ამ ენებისა და ამ ენებით მოცემული აზროვნებების თითქმის სრულყოფილად მცოდნე კომპიუტერული სისტემების ანუ კომპიუტერული „ტვინების“ შემუშავების მიზნებზეა მიმართული.

²¹ ეს ნაშრომი მთელი თავისი მოცულობით მეტად ღირებულია, იმის გასააზრებლად, თუ რა კეთდება დღეს საქართველოს სახელმწიფო ენების დასაცავად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზემოთ, არასპეციალისტი მკითხველებისთვის, გამოყოფთ ნაშრომის იმ ადგილებს, რომელთა გაცნობა, ჩვენი თვალთახედვით ჩვენივე მიზნებიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებად აუცილებელია.

უზრუნველყოფის მიზნებზე,²² რაც, თავის მხრივ, გასაგებს ხდის იმას, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნების საკითხი ერთდროულად ექცევა როგორც 2024 წლის 19 მარტს პრემიერ ირაკლი კობახიძის მიერ დაანონსებული საქართველოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების პოლიტიკის, ისე 2021 წლის 27 დეკემბერს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის)“ მიზნებში.²³

3. იხილეთ ამ ზემოთ ხაზგასმული ნაშრომის მეექვსე პარაგრაფი სათაურით „დასაბუთება იმისა, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო

²² ეს დასტურდება <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkkee0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე გამოქვეყნებული ნაშრომის 21-ე და 22-ე გვერდებიდან არასრული სახით აღებული ციტატებით:

(ციტატის დასაწყისი)

<https://plato.stanford.edu/entries/computational-linguistics/> მისამართზე იძებნება სტენფორდის ფილოსოფიური ენციკლოპედიის გამოთვლითი ლინგვისტიკის ანუ გამოთვლითი ენათმეცნიერების გვერდი, სადაც ხაზგასმულია, რომ „გამოთვლითი ლინგვისტიკა არის სამეცნიერო და საინჟინრო დისციპლინა, რომელიც გამოთვლითი მიზნების გათვალისწინებით კონცენტრირებულია წერითი და ზეპირი ენების გაგება-გააზრების პრობლემებზე და, აგრეთვე, ისეთი ხელსაწყოების შექმნაზე, რომლებიც ამომწურავად ამუშავებენ და აწარმოებენ ენას როგორც საკუთარ მთლიანობაში, ისე სასაუბრო ურთიერთობებში.“

ასევე, იქვე, გამოთვლითი ლინგვისტიკის მიზნებზე საუბრისას, ხაზი ესმება შემდეგს: „გამოთვლითი ლინგვისტიკის თეორიული მიზნები მოიცავს ენების გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებების აღმწერი ისეთი თეორიული ჩარჩოების შემუშავებას, რომლებიც გამოთვლითი მიზნების გათვალისწინებით შესაძლებელს გახდის როგორც სრული სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის მეთოდების დანერგვას, ისე ახალი დამუშავების ტექნიკებისა და სწავლის პრინციპების მიკვლევას ენის როგორც სტრუქტურულ, ისე დისტრიბუციულ (სტატისტიკურ) თავისებურებებზე დაყრდნობით, ასევე კოგნიტურად და ნეირომეცნიერულად დამაჯერებელი გამოთვლითი მოდელების შემუშავებას იმისა, თუ სავარაუდოდ როგორ ახერხებს ტვინი ენის დამუშავებასა და დასწავლას. ...“

(ციტატის დასასრული)

(ციტატის დასაწყისი)

„მომავალზე ორიენტირებული გამოთვლითი ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანაა ისეთი შემეცნებითი მანქანების განვითარება, რომლებთანაც ადამიანებს თავისუფლად შეეძლებათ ისაუბრონ თავიანთი ბუნებრივი ენით. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ამოცანა უზრუნველყოფს ენის ფუნქციური თეორიის, ვერიფიკაციის ობიექტური მეთოდების და სხვა პრაქტიკული გამოყენების ფართო სპექტრის განვითარებას. ბუნებრივი კომუნიკაცია ითხოვს არა მხოლოდ სიტყვითი, არამედ არასიტყვითი მოქმედებებისა და აღქმების დამუშავებას. შესაბამისად, სახელმძღვანელოს შინაარსით წარმოდგენილია ენის ის თეორია, რომელიც აუცილებელია მოლაპარაკე რობოტის ასაგებად. ამასთან, მთავარი თემაა ბუნებრივი ენობრივი კომუნიკაციის მექანიზმი, როგორც მსმენელში, ასევე მოსაუბრეში.“

(ციტატის დასასრული)

²³ ამ აქ აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ <https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf> მისამართზე განთავსებული „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)“, რომლის წინასიტყვაობაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი გია ალიბეგაშვილი ხაზს უსვამს შემდეგს: „21-ე საუკუნე „ციფრული კვდომის“ საუკუნედ არის მიჩნეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების არსი სცილდება მხოლოდ რეალურ სივრცეში ენის სტატუსის დაცვას. ენის ნამდვილი გადარჩენა და მისი მომავალში არსებობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სრულფასოვანი იქნება ამ ენის ფუნქციონირება ინტერნეტში, რამდენად იქნება განვითარებული ენობრივი ტექნოლოგიები“.

სწავლის სფეროებისა და კვალიფიკაციათა ჩამონათვალში აუცილებლად უნდა იყოს „გამოთვლითი ლინგვისტიკა“ და, აგრეთვე, კიდევ ერთხელ და ძალიან მოკლედ საკითხის წინასიტორიის შესახებ“ (45-ე – 51-ე გვერდები). - ანუ, გამომდინარე ამ მეექვსე პარაგრაფის სათაურიდან, მივმართავთ თხოვნით საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს მხარი დაგვიჭიროს საქართველოს საუნივერსიტეტო სწავლის სფეროებისა და კვალიფიკაციათა ჩამონათვალში „გამოთვლითი ლინგვისტიკის“ აუცილებელ და დაჩქარებულ ჩართვაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ, ერთი მხრივ, ვზრუნავთ საქართველოში ხელოვნური ინტელექტის აუცილებელ განვითარებისა და საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართულის და აფხაზურის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით, მეორე მხრივ კი, უარს ვამბობთ ამ მიზნებისთვის აუცილებელი ქართული და აფხაზური ენების ბუნებრივად მცოდნე გამოთვლითი ლინგვისტიკის ანუ, რაც იგივეა, ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტების აღზრდაზე!!!

ამ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არა მარტო იმედი მაქვს, არამედ დარწმუნებულიც ვარ რომ კომიტეტი ხელს შეუწყობს ქართული და აფხაზური ენების დაცვისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას, რა მიზნითაც აქ მომყავს კიდევ ერთი ციტატა, რომელიც აღებულია ამ ზემოხაზგასმული 2023 წლის ნაშრომის ამ ზემოხაზგასმული მეექვსე პარაგრაფის 47-ე გვერდიდან.

(ციტატის დასაწყისი)

ჩვენს ამ იმედს ამყარებს ქართული და აფხაზური ენობრივ-კულტურული იდენტობების დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების საკითხში „გამოთვლითი ლინგვისტიკის“ ჩვენს მიერვე ზემოთ უკვე დასაბუთებული გადამწყვეტი როლი და, აგრეთვე, ის, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს ქართული და აფხაზური ენობრივ-კულტურული იდენტობების დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების მიზნებს, რისი უტყუარი დასტური არის თუნდაც მხოლოდ 2021 წლის 27 დეკემბრის მთავრობის სხდომაზე დამტკიცებული „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)“.

გარდა ამისა, ჩვენს ამ იმედს ამყარებს ისიც, რომ საერთო მსოფლიო საუნივერსიტეტო პრაქტიკა არანაირად არ იზიარებს საუნივერსიტეტო სწავლის სფეროებსა და კვალიფიკაციათა შორის „გამოთვლითი ლინგვისტიკის“ არ არსებობას, რისი პირდაპირი დასტურიცაა <https://edurank.org/cs/computational-linguistics/> მისამართზე არსებული ვებ-გვერდი დასახელებით „მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები გამოთვლით ლინგვისტიკაში“ („Best Universities for Computational Linguistics in the World“).

მართლაც, როგორც კი ვებ-გვერდზე შევალთ არის ბმული „მიუთითე რეგიონი“ („Show Regions“), რომლის გააქტიურების შემდეგ ირკვევა, რომ გამოთვლით ლინგვისტიკაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებიდან

„აზიაში არის 1143, ევროპაში - 663, ჩრდილო ამერიკაში - 431, ლათინურ ამერიკაში - 99, აფრიკაში - 77, ოკეანეთში 43“!²⁴

(ციტატის დასასრული)

ამგვარად, საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და სწავლის სფეროების ჩამონათვალში გამოთვლითი ლინგვისტიკის/ენათმეცნიერების რაც შეიძლება დროული ჩართვის ზემომოყვანილი ციტატით მოწოდებული მეტად მყარი არგუმენტი კიდევ უფრო მყარდება, თუ კიდევ ერთხელ შევალთ <https://edurank.org/cs/computational-linguistics/> მისამართზე არსებულ ვებ-გვერდზე დასახელებით „მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები გამოთვლით ლინგვისტიკაში“.

საქმე ისაა, რომ 2025 წლის ახალი მონაცემებით გამოთვლით ლინგვისტიკაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებიდან აზიაში არის 1403, ევროპაში - 771, ჩრდილო ამერიკაში - 494, ლათინურ ამერიკაში - 120, აფრიკაში - 111, ოკეანეთში - 46.

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები გამოთვლით ლინგვისტიკაში						
წლები	აზია	ევროპა	ჩრდილო ამერიკა	ლათინური ამერიკა	აფრიკა	ოკეანეთი
2023	455	373	231	28	23	33
2024	1143	663	431	99	77	43
2025	1403	771	494	120	111	46

ანუ, **ბატონებო**, აქ, ზემოთ წარმოდგენილი ცხრილით, შევეცადე უფრო თვალსაჩინო გამეხადა მსოფლიო მასშტაბით გამოთვლით ლინგვისტიკაში/ენათმეცნიერებაში საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესების მეტად მაღალი დინამიკა, რაც, როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, დაკავშირებულია ბოლო

²⁴ (ციტატის დასაწყისი)

დაკვირვებული მკითხველის ინტერესებიდან და საკითხის მნიშვნელობებიდან გამომდინარე ხაზს ვუსვამთ შემდეგს:

ზემოცხიტირებული მონაცემი ანუ ის, რომ გამოთვლით ლინგვისტიკაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებიდან „აზიაში არის 1143, ევროპაში - 663, ჩრდილო ამერიკაში - 431, ლათინურ ამერიკაში - 99, აფრიკაში - 77, ოკეანეთში - 43“ ცხადია მეტად ძლიერი არგუმენტი იმისა, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და სწავლის სფეროების ჩამონათვალში „გამოთვლითი ლინგვისტიკის“ არარსებობა არასწორია.

თუმცა, ეს მეტად ძლიერი არგუმენტი კიდევ უფრო გაძლიერდება თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამავე ვებ-გვერდის წინა ჩვენება იმას გვეუბნებოდა, რომ გამოთვლით ლინგვისტიკაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებიდან „აზიაში არის 455, ევროპაში - 373, ჩრდილო ამერიკაში - 231, ლათინურ ამერიკაში - 28, აფრიკაში - 23, ოკეანეთში - 33“.

ანუ, ვებ-გვერდის წინა და დღევანდელი ჩვენები ერთად იმას ნიშნავს, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში გამოთვლით ლინგვისტიკაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რაოდენობა აზიაში 455-დან 1143-მდე, ევროპაში 373-დან 663-მდე, ჩრდილო ამერიკაში 231-დან 431-მდე, ლათინურ ამერიკაში 28-დან 99-მდე, აფრიკაში 23-დან 77-მდე, ოკეანეთში 33-დან 43-მდე გაიზარდა, რაც, იმის გათვალისწინებით, თუ ბოლო წლებში როგორ ღრმად შევიდა მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის ანუ ენის მცოდნე კომპიუტერების ეპოქაში, სრულიად ახსნადი, სავსებით გასაგები და აუცილებლად გასათვალისწინებელია!

ამგვარად, ხომ სრულიად ცხადია, რომ ჩვენც უნდა დავადგათ საქმეს თავი და საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და სწავლის სფეროების ჩამონათვალში რაც შეიძლება დროულად უნდა ჩავრთოთ გამოთვლითი ლინგვისტიკა ანუ, რაც იგივეა, გამოთვლითი ენათმეცნიერება!

(ციტატის დასასრული)

წლებში ხელოვნური ინტელექტის მეტად სწრაფ აქტუალიზაციასთან,²⁵ რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გვაიძულებს დავასკვნათ, რომ „ჩვენც უნდა დავადგათ საქმეს თავი და საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და სწავლის სფეროების ჩამონათვალში რაც შეიძლება დროულად უნდა ჩავრთოთ გამოთვლითი ლინგვისტიკა ანუ, რაც იგივეა, გამოთვლითი ენათმეცნიერება!“

გარდა ამისა, ეს აქ ზემოთ აღნიშნული - და ამას ხაზს კიდევ ერთხელ ვუსვამ, რადგან ეს ასევე მეტად მნიშვნელოვანია - მკითხველისთვის კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მეტად გასაგებს ხდის იმ დიდ ზიანს, რაც ქართული ენის დაცვის მიზნებს მიაღწა 2006 წელს თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ (პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე), „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაციისა (საბაკალავრო სპეციალიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე) და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობის (სამაგისტრო სპეციალობის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო კ.ფხაკაძე) „ჩარეცხვით“ ანუ გაუქმებით, რადგან რომ არა ეს, დღეს:

1. სტუ-ში „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაჩქარებული დამფუძნებისა და ამოქმედების საკითხი დღის წესრიგში არ იდგებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი სასწავლო პროგრამა თსუ-ში უკვე სულ მცირე 15-18 წლის წინ ამოქმედებული იქნებოდა;

2. და, შესაბამისად, არც „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტის“ ანუ, რაც იგივეა, „გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სპეციალისტების ისეთი დეფიციტი არ გვექნებოდა, როგორც სამწუხაროდ გვაქვს და, აგრეთვე, არც ქართული და ბევრად უფრო მეტად კი აფხაზური ენები ციფრული კვდომის ისეთი საფრთხის ქვეშ არ იქნებოდნენ, როგორი საფრთხის ქვეშაც, სამწუხაროდ, დღეს ისინი არიან!

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შედეგად, კიდევ ერთხელ სრული სიცხადით საბუთდება:

1. როგორც ის, რომ „გამოთვლითი ლინგვისტიკა/ენათმეცნიერება“ ანუ, რაც იგივეა, ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი, რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა იქნეს ჩართული საბაკალავრო სპეციალობის სახით საქართველოს საუნივერსიტეტო კვალიფიკაციათა და სწავლის სფეროების ჩამონათვალში, რადგან, როგორც ეს ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ამას ითხოვს როგორც 2024 წელს პრემიერ ირაკლი კობახიძის მიერ დაანონსებული პოლიტიკა საქართველოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების აუცილებლობაზე, ასევე, ამას ითხოვს აგრეთვე <https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf> მისამართზე განთავსებული და 2021 წელს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)“;

2. ასევე ის, რომ 2006 წელს თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაციისა და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობის „ჩარეცხვით“ ანუ გაუქმებით მეტად დიდი ზიანი მიაღწა ქართული და აფხაზური ენების, კულტურებისა და ტრადიციების დაცვისა და მშვიდობიანი გზებით საქართველოს გაერთიანების მიზნებს;

²⁵ როგორც ჩანს, 2023 წლიდან ხელოვნური ინტელექტის მეტად სწრაფი აქტუალიზაცია განაპირობა იმან, რომ ChatGPT-ის პირველი ვერსიები საინტერნეტო სივრცეში 2022 წლის დეკემბრიდან გამოჩნდა.

3. და ისიც, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მისი საინჟინრო და სამეცნიერო, კერძოდ კი, მათემატიკური და ინფორმატიკული სპეციფიკებიდან გამომდინარე არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა დაფუძნდეს და სწრაფი ტემპებით განვითარდეს ანუ გაფართოვდეს და გაძლიერდეს ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების მიზნებზე პირდაპირ მიმართული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“ და, თანაც, ეს უნდა მოხდეს გადაუდებლივ და გეგმაზომიერად, რადგან ამ ზემომომოხილული ეპოქალური ამოცანების გადაწყვეტას სასიცოცხლოდ სჭირდება გამოთვლითი ლინგვისტიკის ენობრივად ქართველი და აფხაზი მეცნიერ-მკვლევარების ჯერ აღზრდა და მერე მათი ჩართვა ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფისთვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე მიმდინარე იმ შედეგიან კვლევებში, რომლებზეც ინფორმაცია სამწუხაროდ ჯერ მხოლოდ მეტად ვიწრო წრისთვის არის ცნობილი.²⁶

04. დასკვნითი შეჯამება ანუ არაფერი პირადული ანუ ბატონი მამუკა მდინარაძისთვის, რადგან საქართველოს სახელმწიფო ენების ანუ ქართული და აფხაზური ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების მიზნები ცხადია არის ქვეყნისთვის უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობების მქონე საკითხთა შორის ანუ იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს არსებობა აუცილებლობით ითხოვს ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის დროულ შემუშავებას ანუ ქართული და აფხაზური ენებით, კულტურებითა და ტრადიციებით მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველოთი ევროპისკენ ანუ კვლავ და მარადის მამული, ენა, სარწმუნოება! - ის ზიანი, რაც, ამ ყოველივე ზემო მოთხრობილის გამო, მე, როგორც ქართული ენის უფლებების დამცველ მეცნიერ-მკვლევარს, პირადად და პიროვნულად მომადგა, ცალკე თემაა და არც თუ მთლად უმნიშვნელო.

²⁶ სრულიად ცხადია, რომ ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად აღჭურვილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის კონსტრუირება, რაც გამოთვლითი ლინგვისტიკის ანუ, რაც იგივეა, ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტის ინტერდისციპლინურ სამეცნიერო სფეროში მდებარე ეპოქალური მნიშვნელობების მქონე ურთულესი ამოცანაა, არ შეიძლება გადასაწყვეტად მივანდოთ არც მხოლოდ სტარტაპ ინიციატივებს და არც მხოლოდ ერთ უნივერსიტეტსა და ამ ერთი უნივერსიტეტის ერთ კვლევით ინსტიტუტს! - შესაბამისად, ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად აღჭურვილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების ამოცანის აუცილებელი გადაწყვეტის მიზნებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სულ მცირე აუცილებელი იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტის ძალების გაერთიანება, რათა დროულად ჩამოყალიბდეს საქართველოს ის ქართულ-აფხაზური ნაკრები, რომელიც შეძლებს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად აღჭურვილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების ამოცანის სრულ, ამომწურავ და უნაკლო დაწყვეტას, რადგან ამ ამოცანის არასრული, არამომწურავი და არაუნაკლო გადაწყვეტის შემთხვევაში ის ეპოქალური მიზნები, რასაც ხელოვნური ინტელექტი და ციფრული რევოლუცია ჩვენი ერის წინაშე აყენებს, მიღწეული ვერ იქნება!!!

თუმცა, ჩემი მიზანია არა ის, ამის გამო პასუხი მოვთხოვო იმ გვარს და სახელს, რომელიც <https://drive.google.com/file/d/1MLjLskZ--1uqe0Lr-wQwiJXynLUVX9YK/view?usp=sharing> მისამართზე განთავსებული 351 გვერდიანი დოკუმენტაციიდან გამომდინარე ხელს უშლიდა ქართული ენის დაცვის მიზნით ჩემი თითქმის 12 წლიანი ძალისხმევითა და უპრეცედენტოდ დიდი მხარდაჭერით დანერგილი სასწავლო-სამეცნიერო პროცესების თსუ-ში დაბრუნებას,²⁷ არამედ ჩემი მიზანია ის, რომ კრებსითი გაგებით ამ გვარს და სახელს არც ახლა და არც მომავალში კიდევ ერთხელ არ მიეცეს საშუალება შეაჩეროს დღეს ქვეყანაში ახლა უკვე ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნებით მიმდინარე პროცესები!!!

ეს ნამდვილად ასეა და, ამ შემთხვევაშიც, ნამდვილად არ მამოძრავებს არაფერი პირადული, გარდა თუ არა იმისა, რომ ღმერთს ვთხოვ მომიტევოს, შემინდოსა და მაპატიოს თუ ჩემი უნებლიე შეცდომებითა და გადაცდომებით ვინმეს გული ვატკინე, მით უფრო, რომ ჩემთვის, მაშინ, 2006-2009 წლებში, ცნობილი რომ ყოფილიყო 2005 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულება №720, ამ გვართან და სახელთან მიმართებაში კიდევ შეიძლებოდა სხვაგვარად მოვქცეულიყავი, თუმცა, მოხდა ისე, როგორც მოხდა, და ცოტათი მაინც გასაგები რომ გავხადო, რა მოხდა, ქვემოთ მცირე ციტატებად მოვიყვან ფრაგმენტებს

<https://drive.google.com/file/d/1MLjLskZ--1uqe0Lr-wQwiJXynLUVX9YK/view?usp=sharing> მისამართზე მოცემული დოკუმენტაციიდან, რაც, გარდა ზემოაღნიშნულისა, გასაგებს გახდის აგრეთვე იმას, თუ რატომ ვიხსენიებდი იმ მძიმე წლებში ჩემ თავს ქართული ენის უფლებების დამცველად:²⁸

(ციტატის დასაწყისი)

ქართულ ენას უფლება აქვს იყოს კულტურის მატარებელ ენათა რიგში. ჩვენ გვაქვს ამის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. - სრულიად ნათელია, რომ ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების მიზნით ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარე საუნივერსიტეტო პროცესების შემდგომი შეფერხების შემთხვევაში ქართული ენის კულტურული ფუნქციების შენარჩუნების საკითხის

²⁷ ამ აქ აღნიშნულთან დაკავშირებით იხილე აგრეთვე „ვისოლისა“ და მისი წინაპარი კომპანიის „კანარგო სტანდარტ ოილის“ ქველმოქმედებითი მხარდაჭერით https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf, https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/saswavlo_unarebi_1_2007.pdf, და https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf მისამართებზე განთავსებული მასალები. თუმცა, განსახილველ კონტექსტში მეტად საინტერესოა აგრეთვე <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf> მისამართზე მეუფე დავით ალავერდელის, პატრიარქის კურთხევითა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადებული და გამოქვეყნებული მასალა.

²⁸ ის, რომ არაფერი პირადული, არ მითქვამს ლამაზ სიტყვებად, რადგან, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს სიტყვები არც ლამაზია და არც ღრმა, თუმცა კი, ყველას გვესმის, რას ვგულისხმობთ, როცა ამას ვამბობთ! - ანუ, ჩემთვის, „გიყვარდით თქვენი მტერნი“ იმას ნიშნავს, რომ არასწორი ანუ არალმერთის გზით მავალს, სწორი გზით ანუ ღმერთის გზით სვლა უნდა უსურვო, რადგან სხვანაირად რაც მტრობით დანგრეულა, სიყვარულით ვერ აშენდება! - ანუ, არავინ მძულს, მით უფრო, რომ ისინიც, ვინც შეიძლება მძულდეს, ხომ ღვთის ნებით იყვნენ და არიან ჩემი ცხოვრების ანუ ჩემი წამია წუთისოფლის ნაწილები! - და ამიტომ და კიდევ ერთხელ ღმერთს აქეთ ვთხოვ, შემინდოს და მიმიტევოს ჩემი შეცდომები და გადაცდომები, რადგან კაცთა შორის არავინაა სრულყოფილი! - ანუ, მერწმუნეთ, არც წინამდებარე ღია წერილი/განცხადება და არც მისი ეს ნაწილი არ იწერება ვინმეს სიძულვილითა და ვინმესთვის სამაგიეროს გადახდის სურვილით, არამედ ეს იწერება ღვთის ნებითა და ჩვენი დიდი წინაპრების დიდი ღვაწლით ჩვენამდე მოტანილი მამული, ენა, სარწმუნოების ჩვენი შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და მათი შვილების მომავალ თაობებამდე მიტანის ვალდებულებით!

კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების პასუხისმგებლობა ფაკულტეტის დღევანდელ მმართველობას დაეკისრება.

(**ციტატის დასასრული**) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პფდ ნუმერაციით 88-ე გვ.

(**ციტატის დასაწყისი**)

ბატონო დეკანო, ჩემი ოფიციალური თხოვნის შესაბამისად თქვენ არ აჩქარდით და არ აიღეთ უაპელაციო საფუძვლად ამ უპრეცედენტო საკომისიო განხილვის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც, უნდა ითქვას, რომ არ არის ცალსახად უარყოფითი. - მე ვთვლი, რომ ეს თქვენი მხრიდან სწორი ქცევა იყო! - მაგრამ, თუ საკითხთა სპეციფიკების (მხედველობაში მაქვს მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივი ენების ლოგიკის ქართველი სპეციალისტების ფაქტობრივი არ არსებობა და ზემოაღნიშნული თვალსაზრისებით ქართული ენისა და აზროვნების თითქმის სრული შეუსწავლელობა) და ჩემი ზემოხსენებული ოფიციალური თხოვნის შესაბამისად არ გაუკეთებთ ორგანიზებას საკითხის ღია განხილვას ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რაც, ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში სრულიად მართებული მოთხოვნაა, მაშინ მე იძულებული ვიქნები დავასკვნა, რომ თქვენ მოქმედებთ არა სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესებით, არამედ ვიწრო დარგობრივი ხასიათის დაკვეთებით

(**ციტატის დასასრული**) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პფდ ნუმერაციით 98-ე გვ.

(**ციტატის დასაწყისი**)

ბატონო რექტორო, იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ლაბორატორიის ფორმირებისთვის აუცილებელი თანხები, მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ვალდებული ვიქნები ბრალი დავდო უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ჯერ ბლოკირებაში, მერე კი მის სრულ ანულირებაში! - შეგახსენებთ, რომ საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს. - **პატივისცემით, ქართული ენის უფლებების დამცველი, თსუ მკვლევარი /კ. ფხაკაძე/**

(**ციტატის დასასრული**) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პფდ ნუმერაციით 99-ე გვ.

(**ციტატის დასაწყისი**)

თქვენი ასეთი უდიერი დამოკიდებულებების გამო ზოგჯერ ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ პირველ ქართულ უნივერსიტეტში საქართველო აღარ არის, რადგან ხომ სრულიად ნათელია, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვისათვის მე ბრძოლა არ უნდა მიხდებოდეს!

(**ციტატის დასასრული**) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პფდ ნუმერაციით 133-ე გვ.

(**ციტატის დასაწყისი**)

გაუგებარია, რისთვის იხარჯება მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებზე გამოყოფილი საუნივერსიტეტო საბიუჯეტო

თანხები და ქართული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისებით რა უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნებითაა დაკავებული ეს მიმართულებები ვიდრე ეს იქნებოდა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნებით პირველი ქართველი სპეციალისტების აღზრდა?! - ან იქნებ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების მიუხედავად ამ მიმართულებებზე სასწავლო მიზნები და პრიორიტეტები ამ საფრთხეების გაუთვალისწინებლად უნდა განისაზღვროს?! - როგორც ჩანს თქვენ ასე თვლით, რადგან მიუხედავად თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ამ მიზნებით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის უკვე დადასტურებული საუნივერსიტეტო აქტუალობისა თქვენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათი აქტუალიზების მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადაგიდგამთ! - ანდა იქნებ თქვენ მიიჩნევთ, რომ არანაირი ზემოაღნიშნული სახის საფრთხეები ქართული ენის წინაშე არ დგას?! - მაშინ, კეთილი ინებეთ და გამობრძანდით ზემომოთხოვნილ ღია საფაკულტეტო სემინარზე და საჯაროდ დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება!

ქართული ენის უფლებების დამცველი,

კ. ფხაკაძე,

2008 წლის 6 ნოემბერი.

მინაწერი: საქმე რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგმეჭყეულ დგომას! - ჯერ კიდევ გაქვს დრო დამლიო შინაგანი წინააღმდეგობანი და იმოქმედო არა ჩვენი ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან, არამედ საქმის მნიშვნელობებიდან გამომდინარე, რადგან, საბოლოო ჯამში, აქ ყველაფერი შეფასდება არა ჩვენი ურთიერთობებით, არამედ თავად ამ საქმის მნიშვნელობებით!

(ციტატის დასასრული) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პფდ ნუმერაციით 134-ე გვ.

(ციტატის დასაწყისი)

ანუ, როგორ გაბედეთ უარყოფითად გეპასუხნათ იმაზე, დაბრუნდეს თუ არა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკა და მათემატიკური ლინგვისტიკა ისე, რომ არ ისარგებლეთ 2007 წლის 22 მაისს იმ ჩემი ორი თანართული რეკომენდაციით გაკეთებული მომართვით, რომლითაც მე გთხოვდით მოგეცათ საშუალება საფაკულტეტო სემინარზე წარმომედგინა მოხსენება თემაზე **ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ**?! - შენ რა გამიზნულად მოძრაობ იმ მიმართულებით, რომ ქართული კულტურული თვალსაზრისებით ასეთი უმნიშვნელოვანესი თეორიის შემუშავების 50 წლიანი დაგვიანებით ძლივს დაწყებული ადგილობრივი პროცესები დაბლოკო?! - დამიჯერე, არ გამოგივა!

საქმე რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგმეჭყეულ დგომას! - ჯერ კიდევ გაქვს დრო დამლიო შინაგანი წინააღმდეგობანი და იმოქმედო არა ჩვენი ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან,

არამედ საქმის მნიშვნელობებიდან გამომდინარე, რადგან, საბოლოო ჯამში, აქ ყველაფერი შეფასდება არა ჩვენი ურთიერთობებით, არამედ თავად ამ საქმის მნიშვნელობებით! - როგორც გინდა ისე გაიგე, მაგრამ გთხოვ, ღმერთი გაიხსენო, პირჯვარი გადაიწერო და თუ ვინმე გაიძულე, ასე მტრულად მოექცე შენსავე მშობლიურ ენას, უფალი მიგახვედრებს რა უპასუხო მას!

(ციტატის დასასრული) - იხილეთ ამ 351 გვერდიანი დოკუმენტაციის პდფ ნუმერაციით 136-ე გვ.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ: თსუ-ში ქართული ენის უფლებების დაცვის პროცესებს ეხმიანება ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ღია ინსტიტუტის ვებ-გვერდი (<https://geoanbani.com/other/gllc.ge/index.html>) და <https://geoanbani.com/other/gllc.ge/issues.html>, <https://geoanbani.com/other/gllc.ge/articles.html>, <https://geoanbani.com/other/gllc.ge/news.html> მისამართებზე განთავსებული გამოცემები და მასალები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსაყოფია https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf და https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/saswavlo_unarebi_1_2007.pdf მისამართებით მოცემული გამოცემები და, აგრეთვე, https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf მისამართზე განთავსებული ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, რომელიც მთლიანად ეძღვნება ამ ზემომიმოხილულ არაუმნიშვნელო საკითხებს.

ამ ღია წერილის/განცხადების დასასრულს მომყავს ორი ციტატა https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf მისამართზე საწარმო „ვისოლის“ ქველმოქმედებითი მხარდაჭერით გამოქვეყნებული და ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი მესამე ღია რესპუბლიკური სასემინარო კვირეულის „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“ მოხსენებების კრებულიდან. (კვირეული შედგა 2007 წლის 11 აპრილიდან 18 აპრილამდე შუალედში თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში):

(ციტატის დასაწყისი)²⁹

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩავერთოდ ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების მიზნით უკვე გლობალურად მიმდინარე ეპოქალურ პროცესებში და ქართულ ენაში თავისუფლად ურთიერთობადი და სრულყოფილად „მოაზროვნე“ მანქანის კონსტრუირების ამოცანა ერთ-ერთ ხელშეუხებელ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად გამოვაცხადოთ. ნათელია ისიც, რომ ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების და ქართული ენის სრული მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით უკვე მიმდინარე პროცესები არა თუ უნდა შეჩერდეს, არამედ, პირიქით, ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მიიმართოს.

იმედი მაქვს, სწორად ვიქნები გაგებული ჩემი მასწავლებლებისა და კოლეგების - ქართველი მათემატიკოსების მხრიდან და რიტორიკული შეკითხვის

²⁹ ციტატა იღებნება https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf მისამართზე გამოქვეყნებული 2007 წლის ნაშრომის „სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიღწეული შედეგებისა და მისაღწევი მიზნების ანუ ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ“ 52-ე - 53-ე (პდფ ნუმერაციით 55-ე - 56-ე) გვერდებზე.

სახით საკითხს შემდეგნაირად დავაყენებ: ან კი რად გვინდა და რა საჭიროა ქართული მათემატიკური სკოლა თუ ქართული ენა მათემატიკური თვალსაზრისებით შეუსწავლელობის გამო კულტურული ფუნქციების გარეშე დარჩენილ ენათა რიგში მოექცევა?!

ქართული ენის უფლებების დამცველი კ.ფხაკაძე, თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის - „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში” – ხელმძღვანელი (ციტატის დასასრული)
(ციტატის დასაწყისი)³⁰

დასასრულს კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ ქართული ენის სრული მათემატიკური და მანქანური დაფუძნების უმნიშვნელოვანესი მიზნების ვერგანხორციელების, ანუ, ქართული ინტელექტუალური მანქანის ვერკონსტრუირების შემთხვევაში, ცხადია, რომ მომავალი თაობები თანდათან უფრო იშვიათად ისარგებლებენ ქართული ენით, რადგან იმ ინტელექტუალურ მანქანებთან, რომელთანაც მათ ყოველდღიური მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობები ექნებათ, ისინი ქართულად ვერ გაისაუბრებენ. შესაბამისად, ასეთი მანქანების უკვე კარს მომდგარ ეპოქაში ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი იძულებული იქნება ამ მანქანებთან საურთიერთობოდ ისარგებლონ არა ქართულით, არამედ სხვა რომელიმე არაქართული ენით. ეს, ცხადია, ბევრად უფრო მძიმე დარტყმა იქნება ქართული საზოგადოების ენობრივ მთლიანობაზე და ქართველი ერის კულტურულ თვითმყოფადობაზე, ვიდრე ეს იყო XVIII-XX საუკუნეების მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით განპირობებული გარეენობრივი კულტურული ექსპანსიები, რადგან, ამ შემთხვევაში, ქართული ენის სხვა ენით ჩანაცვლება განპირობებული იქნება არა პოლიტიკური მიზეზებითა და საზოგადოების ერთი ნაწილის არასწორი კულტურული ორიენტირებით, არამედ იმ ობიექტურად არსებული მიზეზით, რასაც ჩვენ მოკლედ, და ვფიქრობთ გასაგებადაც, **ქართული ენისა და აზროვნების ტექნოლოგიზებული ანბანის** არარსებობას ვუწოდებთ. - ცხადია, რომ თუ ჩვენ ქართული ენისა და აზროვნების სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებას ვერ შევძლებთ, სწორი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის შემთხვევაშიც კი, არჩევანი იმისა, რომ ქართულენობრივი კულტურული საზოგადოების სახით განვითარდეთ, არ გვექნება!

სწორედ ეს შემაშფოთებელი ვითარება გახლდათ მიზეზი იმისა, რომ „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფთან“ ჩამოყალიბდა „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფი“, რომლის პირველ შემადგელობაშიც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან. - ჩვენი მიზანია დავანახოთ ქართულ საზოგადოებას თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავისუფლად ურთიერთობადი და აზროვნებითი და მთარგმნელობითი უნარებით სრულყოფილად აღჭურვილი ქართული ინტელექტუალური მანქანის შექმნა, და

³⁰ ციტატა იღებნება https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf მისამართზე გამოქვეყნებული 2007 წლის ნაშრომის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მიზნების, ამოცანებისა და ამეტაპობრივი სამოქმედო გეგმის მოკლე განაწერი“ 21-ე - 22-ე (პდფ ნუმერაციით 24-ე - 25-ე) გვერდებზე.

რა მნიშვნელოვანი პერსპექტივებით კავდება ქართულენოვრივი აზროვნების სრული მათემატიკური დაფუძნებისათვის უკვე მიმდინარე კვლევები.

„ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრები: ლ. აბზიანიძე, ნ. ვახანია, ნ. ლაბაძე (მდივანი), ს. მასხარაშვილი (თავმჯდომარე), ნ. ფხაკაძე, ბ. ჩიქვინიძე

(ციტატის დასასრული)³¹

ბატონო მამუკა, ციფრული ეპოქის ანუ, რაც იგივეა, ხელოვნური ინტელექტის ეპოქის მიჯნაზე ზემოწარმოდგენილი 18 წლის წინანდელი ციტატები მომყავს იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მეტად გასაგები გავხადო ის სულისკვეთება, რაც გვაიძულებდა გვებრძოლა საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულება №720-ის გამოქვეყნების შემდეგ თსუ-ში ქართული ენის უფლებების დაცვისთვის და, აგრეთვე, ეს ციტატები მომყავს იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა შემდეგს:

³¹ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ წინამდებარე არ იწერება პირადი ხასიათის მოტივებით, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე, როგორც ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით მოქმედ მკვლევარს, რომელიც წლების განმავლობაში ფაქტიურად უხელფასოდ ვმუშაობდი და, არა იმიტომ, რომ წასასვლელი არსად მქონდა, ცხადია დიდი ზიანი მომადგა 2006 წლიდან თსუ-ში ჩემს მიერ ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით დაფუძნებული სასწავლო-სამეცნიერო პროცესების „ჩარეცხვის“ ანუ სრულად გაუქმების შედეგად.

ამ ზემოაღნიშნულ დიდ ზიანებს შორის, ყველაზე მეტად მტკივნეული იყო ის ზიანი, რაც ამის გამო მაშინ ჩემ 17 წლის ირაკლისა და 16 წლის მარიამს მიაღდა, რადგან ისინი ჯერ კიდევ პატარები იყვნენ და ჩემი შემყურე, ისე რომ მე სიტყვაც არ მითქვამს და არც თავად უფიქრიათ რამე, „მიხვდნენ“ იმას, რომ 7/24-ზე ქვეყნის სამსახური თურმე „არ ფასდება!“ - როგორც ჩანს ზუსტად იმავე მიზეზის გამო მეტად მტკივნეული იყო აგრეთვე ის, რომ ქართული ენის დაცვის მიზნებით მოქმედი „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ თითქმის 18 წევრიანი შემადგენლობიდან, რომელთა შორის იყვნენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, ქართული ენის დაცვის მიზნებმა დაკარგა თითქმის ყველა გარდა ორისა, რომლებმაც მიუხედავად ამ მხრივ ადგილობრივ წარმოქმნილი სირთულეებისა მათ მიერვე არჩეული მიმართულებით ანუ მათემატიკური/გამომთვლელთი ლინგვისტიკის მიმართულებით სწავლა გააგრძელეს საზღვარგარეთ და, დღეს, მიუხედავად მათი ჯერ კიდევ ახალგაზრდული ასაკისა, ასისტენტ პროფესორის პოზიციით საქმიანობენ (სპეციალურად არ ვამბობ „მოღვაწეობენ“, რადგან საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებით მათი მოღვაწეობის დრო და ჟამი, ღრმად მწამს, რომ ახლო მომავალში მეტად ცხადად და მეტად მკაფიოდ დადგება და გამოიკვეთება, თუმცა ეს ასე იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სწორად მივუდგებით და თავალს გავუსწორებთ იმ ზიანების იმ ჩვენსკენ არსებულ მიზეზებს, რაც მათ „თინეიჯერობის“ ასაკში სამშობლოდან თითქმის იძულებითი გასვლის შედეგად მიაღდათ!) გამომთვლელთი ლინგვისტიკის წამყვან ევროპულ და ამერიკულ ცენტრებში, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ მათი ახალგაზრდული ენერგიის დიდი ნაწილი იხარჯება ამ ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების სასწავლო ინტერესებზე და არა მათი მშობლიური ქართული ენის დაცვის მიზნებზე!

ბატონო მამუკა, ღრმად მწამს, რომ „ქართული ოცნების“ ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი პოლიტიკური გუნდი გამომდებნის გზებს და საშუალებებს იმისა, რომ დაუბრუნოს ქვეყანას ე.წ. „ნაციონალური“ მოძრაობის ანტიქართული საუნივერსიტეტო პოლიტიკის შედეგად ქვეყნიდან გასული 30-45 წლის ახალგაზრდა და წარმატებულ მეცნიერ-მკვლევრები, რათა მათი მონაწილეობით დაიწყოს და განვითარდეს რა თქმა უნდა და აუცილებლად ქართული ენით მიმდინარე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო საუნივერსიტეტო პროცესების გაძლიერების და ქვეყნის სამსახურში ჩაყენების სწრაფი და ნაყოფიერი პროცესები!

ის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და მისი პრეზიდენტის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და მისი პრეზიდენტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს დიდი მხარდაჭერებით 2025 წლის 15 მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing მისამართზე წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე ამოქმედდა „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“, პირადად ჩემთვის, იმას ნიშნავს, რომ:

1. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ძლიერი და პირდაპირი მხარდაჭერით უკვე დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დაცვის მიზნით 18 წლის წინ „ჩარეცხილი“ ანუ სრულად გაუქმებული სასწავლო-სამეცნიერო პროცესების განმეორებითი ანუ ხელმეორე დაფუძნების სწრაფი პროცესი;³²

2. საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მშვიდობიანი გზებით აღდგენის მიზნებში იმ მრავალწლიანი შეფერხების მიუხედავად, რაც ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გუნდის ანტიქართული მმართველობით განპირობდა, დღევანდელი სუვერენული ანუ თავისუფლად მოაზროვნე ქართული საზოგადოება და მისი რჩეული დამოუკიდებელი ანუ ეროვნული მიზნებით მოქმედი ქართული სახელმწიფო მაინც შეძლებს:

2.1. ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად და ამომწურავად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის შემუშავებას;

2.2. დღეს ჩატეხილი ქართულ-აფხაზური ხიდების აღდგენას და მხოლოდ მშვიდობიანი გზებით გაერთიანებული საქართველოთი მომავლის კულტურულ სამყაროში, მათ შორის ევროკავშირში ქართული და აფხაზური ენებით, კულტურებითა და ტრადიციებით ღირსეულ შესვლას;

3. რეგიონალურ მეზობლებთან „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ბრძნული, ღირსეული, მშვიდობიანი და მეგობრული კავშირების დამყარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგად დღევანდელი სუვერენული ანუ თავისუფლად მოაზროვნე ქართული საზოგადოება და მისი რჩეული დამოუკიდებელი ანუ ეროვნული

³² ზემოწარმოდგენილში მთავარი სიტყვაა დაიწყო, რადგან თუ პროცესი მხოლოდ ამ პირველ ნაბიჯზე გაჩერდა და თუ არ მოხდა ამ უკვე დაწყებულის სწრაფი და გეგმაზომიერი განვითარება, იმ მიზნებს, რაც ზემოწარმოდგენილი 18 წლის წინანდელი ციტატებით იკვეთება, ვერ მივაღწევთ! - არასდროს თავი „ჩარეცხილად“ არ მიგვრძნია და, შესაბამისად, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეს ღია წერილი/განცხადება დაიწერა არა პირადი მოტივებით, არამედ იმ მიზნით, რომ ქართული საზოგადოების გზაბნეული ნაწილისთვის კიდევ ერთხელ თვალნათელი გახდეს, რომ დღეს, ისევე როგორც ეს იყო გუშინ, და ისევე როგორც ეს იქნება ხვალ, ქვეყანაში მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოხლო ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერ ქართულ ძალებსა და გაუმჭირვალე უცხოური დაფინანსებებით მოქმედ არაქართულ ძალებს შორის და, ამდენად, პირადად ჩემთვის, ეს ე.წ. რუსული კანონი თავიდანვე იყო და დღესაც არის დავითის კანონი, რადგან რომ არა მსტოვართა ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის მეოხებით უცხოური გავლენით მაშინ მოქმედი ადგილობრივი ძალების გაუვნებელოება, დავითი გეგუთიდან ვერც თბილისში ჩამოვიდა და ვერც საქართველოს დიდ აღმშენებლობას ვერ ჩაუყრიდა საფუძვლებს!!!

მიზნებით მოქმედი ქართული სახელმწიფო შეძლებს იმასაც, რომ მშვიდობიან კავკასიაში მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველოს დროშაზე კვლავაც და მარადის გზის მომცემ და გზის გამკვალავ მოწოდებად ფრიალებდეს ილიასეული მამული, ენა, სარწმუნოება!³³

³³ იმ მიზნით, რომ მკითხველმა კიდევ უფრო სრულად გაიაზროს ის, თუ რას ნიშნავს 2025 წლის 15 მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ ამოქმედება, ვთავაზობ მათ კიდევ ერთხელ გაეცნონ https://drive.google.com/file/d/15wIaCPYvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing მისამართზე წარმოდგენილი 2024 წლის საინსტიტუტო პროექტის მეორე პარაგრაფს (იხილეთ მისამართზე არსებული პროექტის მე-8 - მე-13 გვერდებზე განთავსებული მასალა) და, აგრეთვე, ვთავაზობ მათ გაეცნონ <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNk0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე წარმოდგენილი 2023 წლის საინსტიტუტო პროექტის პირველ პარაგრაფს (იხილეთ მისამართზე არსებული ნაშრომის 63-ე - 69-ე გვერდებზე განთავსებული მასალა). - ის, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ საბიუჯეტო დაფუძნებასა და ამოქმედებას სრულად დაუჭირა მხარი როგორც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის, ისე ბატონი ირაკლი კობახიძის მთავრობამ, პირადად ჩემთვის კიდევ ერთი მყარი დასტურია იმისა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის საპატიო თავმჯდომარეობით მოქმედი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი მეტად მყარად უჭერს მხარს საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვისა და მშვიდობიანი გზებით საქართველოს გაერთიანების მიზნებს! - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ჩვენი შემდეგი პუბლიკაციები:

1. კ. ფხაკაძე, ა. მასხარაშვილი, ლ. აზიანიძე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის პროგრამული დაფინანსების 2024-2028 წლების გეგმა, ჟურნალი „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“, N1(15), გვ.62-134, 2023-2024, (<https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNk0l9ajpwVxcXjuVML/view>);

2. კ. ფხაკაძე, ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სამსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის დაფუძნების მიზნები, პრობლემები და სამოქმედო გეგმა, ჟურნალი „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“, N1(15), გვ.4-61. 2023-2024, (<https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNk0l9ajpwVxcXjuVML/view>);

3. კ. ფხაკაძე, ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!, „ქართული ენა და ლოგიკა“, N12-N14, გვ.21-62, 2019-2021 (<https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf>);

4. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, შ. მალიძე, ღია წერილი საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს ანუ სახელმწიფო ენის (ქართული, აფხაზური) სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ერთიანი პროგრამის ძირითადი პრინციპები ანუ მომავლის კულტურულ სამყაროში ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართული და აფხაზური ენებით - 2017 წლის ვერსია, „ქართული ენა და ლოგიკა“, N12-N14, გვ.63-106, 2019-2021;

5. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, შ. მალიძე, დ. კურცხალია, კ. დემურჩევი, ნ. ოქროშიაშვილი, ბ. მიქაბერიძე, ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში - ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნები, პრობლემები, შედეგები და რეკომენდაციები, AMIM, ტ.23, No.1, 46-172, 2020;

6. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, შ. მალიძე, კ. დემურჩევი, დ. კურცხალია, ნ. ოქროშიაშვილი, ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნები და პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 14, No. 3, გვ.36-42, 2020.

7. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, შ. მალიძე, ღია წერილი საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს ანუ სახელმწიფო ენის (ქართული, აფხაზური) სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ერთიანი

პროგრამის ძირითადი პრინციპები ანუ მომავლის კულტურულ სამყაროში ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართული და აფხაზური ენებით, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N11(II), 121-164, 2017-2018;

8. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ღია წერილი ქართულ საზოგადოებას ანუ უკვე ნამდვილად დროა ერთად მივხედოთ ქართულ ენას!, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 131-158, 2015-2106.

9. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ი. ბერიაშვილი, შ. მალიძე, ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები, „ქართული ენა და ლოგიკა“ დამატებითი გამოცემა, 4-320, 2017;

10. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა: საფუძვლები და გამოყენებები - ნაწილი პირველი - წინათქმა, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 4-130, 2015-2106;

11. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ღია წერილი ქართულ საზოგადოებას ანუ უკვე ნამდვილად დროა ერთად მივხედოთ ქართულ ენას!, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 131-158, 2015-2106;

12. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, პროექტის „კომპანიის - ქართული ენობრივი ტექნოლოგიები“ დაფუძნება“ ბიზნესგეგმა, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 159-200, 2015-2106;

13. კ. ფხაკაძე, ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!, ელ-ჟურნალი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, N1, 1-42, 2015;

14. კ. ფხაკაძე, ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!! - მოკლე ვარიანტი, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N7-N8, 1-20, 2013-2014;

15. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ა. მასხარაშვილი, ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი - მიზნები, მეთოდები და შედეგები, ი.ვეკუას გმი-ის გაფართოებული სესიის მოხსენებები, ტომი 27, 48-51, 2013;

16. კ. ფხაკაძე, ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი - XXI საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გამოწვევა, საპარლამენტო კონფერენციის „ქართული ენა - 21-ე საუკუნის გამოწვევები“ შრომები, 98-105, 2013;

17. კ. ფხაკაძე, ა. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე, ნ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა და ქართულენოვანი კომპიუტერი არნ.ჩიქოზავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის II საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ მასალები, 132-133, 2011;

18. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ა. ვაშალომიძე, კ. გაბუნია, ლ. აბზიანიძე, ა. მასხარაშვილი, მ. ჩიქვინიძე, ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 1-24, 2009

19. კ. ფხაკაძე, ლ. აბზიანიძე, ა. მასხარაშვილი, ქართულ წერით ენაში ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის 1 ვერსია, ი.ვეკუას სახელობის გმი გაფართოებული სესიის სემინარების მოხსენებები, ტომი 23, 94-99, 2009;

20. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ა. ვაშალომიძე, ლ. აბზიანიძე, ს. მასხარაშვილი, მ. ჩიქვინიძე, ხმით მართვადი ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის I ვერსია და ქართული ენის თეზისები, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჟურნალი, 72-78, 2009.

21. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ა. ვაშალომიძე, კ. გაბუნია, ლ. აბზიანიძე, ს. მასხარაშვილი, მ. ჩიქვინიძე, ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის ფუნდამენტური საკითხები და ქართული ხმით მართვადი ინტელექტუალური სისტემის 1-ვერსიის ზოგიერთი ქვესისტემა, არნ.ჩიქოზავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის I საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ მასალები, 60-66, 2009.

05. ბოლოთქმა ანუ წინამდებარე ღია წერილის/განცხადების კიდევ ერთი მთავარი შემადგენელი ანუ ახალ ქართულ მეგაპროექტის აუცილებლობაზე: ბატონო მამუკა, ქალბატონო თეა, დასასრულს კიდევ ერთხელ გთავაზობთ <https://infoteka.bg.ac.rs/pdf/Eng/2012-2/INFOTHECA XIII 2 December2012 3-5.pdf>

მისამართზე გამოქვეყნებულ და 200-ზე მეტი მაღალი რანგის ევროპელი ექსპერტის მიერ 2012 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნებულ მეტა-ქსელის (META-NET) საგანგაშო პრეს-რელიზს, რომლითაც იმდროინდელი ევროპული საზოგადოება პირველად გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ კარს მომდგარ ციფრულ ეპოქაში ენობრივი რესურსებითა და ტექნოლოგიებით არასაკმარისი მხარდაჭერის გამო სულ მცირე 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ.³⁴

არადა, საქართველოში, ზუსტად იგივე, ოღონდ ქართულ ენასთან მიმართებაში, პირველად სულ მცირე 10 წლით ადრე ანუ 2000-2002 წლებში ითქვა და არამარტო ითქვა, არამედ 2002 წელს პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ პირველად შეიტანეს 2003 წლის პირველ რიგში სარეალიზაციო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში, რითაც ევროპელებს პრობლემის აქტუალიზაციაში 10 წლით დავასწართ.

თუმცა, საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის საზიანო პოლიტიკის შედეგად სულ მცირე 18 წელი გაგვიცდა,³⁵ რამაც ძლიერ

22. კ. ფხაკაძე, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისათვის, გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“, N49, 2009.

23. კ. ფხაკაძე, კ. გაბუნია, გ. ჩიჩუა, ა. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე, ნ. ვახანია, ნ. ფხაკაძე, ბ. ჩიქვინიძე, ლ. გურასაშვილი, ნ. ლაბაძე, მ. ბერიაშვილი, ქართული ინტელექტუალური სისტემის კონსტრუირების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები, არნ.ჩიქოშავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI რესპუბლიკური კონფერენციის „ბუნებრივ ენათა დამუშავება“ მასალები, 23-24/33-34, 2008.

24. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ა. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე, სტატია, 1-საფეხურის ხმით მართვადი ქართული ინტელექტუალური სისტემა, იკვეუას სახელობის გმი-ის სემინარის მოხსენებები, ტომი 34, 96-107, 2008.

25. კ. ფხაკაძე, კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში, გაზეთი „რეზონანსი“, 242(2362), 2001.

<https://drive.google.com/file/d/1cpK5xZfiHnCA5rIqXCPswynNMYk-qwIk/view?usp=sharing>

მისამართზე იმეზნება წინამდებარე ღია წერილის/განცხადების ავტორის შრომების სრული სია, რომელთა შორის კიდევ მრავლად არის განხილვის ქვეშ მყოფ საკითხთან დაკავშირებული პუბლიკაციები.

³⁴ META ამოკლებს ინგლისურ ფრაზას „Multilingual Europe Technology Alliance“, შესაბამისად, მეტა ამოკლებს ქართულ ფრაზას „მრავალენოვანი ევროპული ტექნოლოგიური ალიანსი“. ამასთან, მისამართით წარმოდგენილი მასალა არის 2010-2012 წლებში მიმდინარე მეტა-ქსელის ორწლიანი კვლევის „ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში“ („Europe's Languages in the Digital Age“) ის შემაჯამებელი პრეს-რელიზი „სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის წინაშე - კარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს“ („At Least 21 European Languages in Danger of Digital Extinction - Good News and Bad News on the European Day of Languages“), რომლის რედაქტორები არიან გეორგ რემი და ჰანს უშკორეიტი. - ეს საკითხები მიმოხილულია 2014 წლის ნაშრომში „ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!“ (<https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf>, გვ.21-62).

³⁵ საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნები სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა წინ 2012 – 2015 წლებში ანუ ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პერიოდში, მერე იყო შეფერხებები და, მერე, 2021 წლიდან დღემდე ანუ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილისა და ბატონი

დაგვხია უკან საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართულისა და აფხაზურის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებსა და ამოცანებში და ეს მაშინ როდესაც 2012 წლიდან მოყოლებული ევროპელები ევროპის ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით მიმდინარე კვლევით პროცესებს უწყვეტლივ აძლიერებდნენ და აწვითებდნენ! - დასტურად იხილეთ https://european-language-equality.eu/wp-content/uploads/2023/07/MF2023_Session1-1_Opening.pdf მისამართზე³⁶ მოცემული მეტა-ქსელის 2023 წლის ფორუმისა და მეტა-ქსელის მემკვიდრე ორგანიზაციის ანუ ევროპის ენების თანასწორობის (ეეთ) ორგანიზაციის (<https://european-language-equality.eu/>) მე-2 ყოველწლიური კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი მოხსენების „ციფრული ენობრივი თანასწორობა მრავალენოვანი ევროპისთვის“ („Digital Language Equality for a Multilingual Europe“) მოკლე სლაიდ ვერსია.

ამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი მოხსენების ავტორია ხელოვნური ინტელექტის გერმანული კვლევითი ცენტრის (<https://www.dfki.de/web>) წამყვანი მკვლევარი, დოქტორი გეორგ რემი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ამავედროულად არის META-NET-ის ე.წ. თეთრი ფურცლების სერიის „ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში“ (<https://european-language-equality.eu/meta-net-white-paper-series/>) რედაქტორი ჰანს უშკორეიტსთან (<http://hans.uszkoreit.net/>) ერთად.³⁷

ანუ, ამ ზემოთ მოცემული მოკლე მიმოხილვითი ხასიათის არაუმნიშვნელო მონაცემების გაცნობის შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ https://european-language-equality.eu/wp-content/uploads/2023/07/MF2023_Session1-1_Opening.pdf მისამართზე მოცემული მოხსენების „ციფრული ენობრივი თანასწორობა მრავალენოვანი ევროპისთვის“ მოკლე სლაიდ ვერსიას, კერძოდ კი, ამ მოკლე ვერსიის მე-8 გვერდს პდფ-ნუმერაციით, რომლის ჩემულ თარგმანს ქვემოთ ვცეტირებ, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია:

(ციტატის დასაწყისი)

ევროპული ენობრივი ტექნოლოგიები – საჭიროება და გადაუდებლობა

- გლობალური LT, NLP და AI ბაზარი (მონაცემთა და მონაცემთა სივრცეების ჩათვლით) – მოდით ვაქციოთ ევროპა საკვანძო მოთამაშედ!
- ევროპული LT საზოგადოება ძალზე ფრაქცირებულია – მოდით დავაკავშიროთ და გავაზიაროთ ჩვენ-ჩვენი რესურსები – ინდუსტრიისა და აკადემიის ჩათვლით

ირაკლი კობახიძის პრემიერობისას ეს პროცესები ისევ სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ და დიდი იმედია ასეც გაგრძელდება! - ანუ, ამით იმასაც ვამბობ, რომ კვირიკაშილის პრემიერობიდან გახარიას გადადგომამდე პერიოდში სახელმწიფო ენის დაცვის მიზნებში იყო არა თუ წინსვლები, უფრო იყო შეფერხებები, რაც იმ პერიოდში ჩემთვის გაუგებარიც იყო და მტკივნეულიც!!!

³⁶ 12th META-FORUM – 2nd Annual ELE Conference ანუ, ქართულად, მე-12 მეტა-ფორუმი – ეეთ-ის ანუ ევროპული ენების თანასწორობის მე-2 ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 2023 წლის 27 ივნისს.

³⁷ ჩვენი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ხაზგასასმელია ისიც, რომ ჰანს უშკორეიტი ამჟამად ცხოვრობს ჩინეთში და არის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ცენტრის (AITC) თანადამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. ხაზგასასმელია ისიც, ჰანს უშკორეიტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი წამყვანი ევროპელი სპეციალისტია, დღემდე არის ხელოვნური ინტელექტის გერმანულ კვლევითი ცენტრის (DFKI) სამეცნიერო დირექტორი და, თანაც, ამჟამად, ამ მაღალ პოზიციაზე მისი ძირითადი საქმიანობაა **ჩინეთთან თანამშრომლობა** და ე.წ. ჰკვიანო მონაცემების პროექტები, რაც, პირადად ჩემთვის, ცოტა არ იყოს გაუგებარია და ეს ასეა არა იმიტომ, რომ მე ვთვლი, რომ ჩინეთთან თანამშრომლობა არ შეიძლება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ყოველი მხრიდან გვიზღუდავენ და გვიწუნებენ იმავე ამ ჩინეთთან მშვიდობიან და ორმხრივ სარგებლიან თანამშრომლობას!

- გლობალური გავლენის მქონე მსოფლიო დონის ევროპული საზოგადოების შესაქმნელად!
- ციფრული ენობრივი თანასწორობა - მოდით მივცეთ საშუალება თითოეულ ევროპელს მონაწილეობა მიიღოს ციფრულ სივრცეში საკუთარი მშობლიური ენით!
- კულტურათაშორისი და ენათაშორისი კომუნიკაცია - მოდით ვაქციოთ ევროპული საუბრები და დებატები ენობრივი საზღვრებისგან ანუ ბარიერებისგან თავისუფალი!
- ვაქციოთ დემოკრატიული ონლაინ დისკურსი ორგანიზებული დეზინფორმაციული კამპანიებისა და სიძულვილის მეტყველებისგან თავისუფალი - გამოვიყენოთ ჩვენი ტექნოლოგიები იქ სადაც ისინი მნიშვნელოვანია და სადაც მათ შეუძლიათ სარგებლის მოტანა!
- ციფრული სუვერენიტეტი - მოდით განვაფართოოთ და განვაგრძოთ მთელ ევროპაში ევროპაშივე შექმნილი ენობრივი ტექნოლოგიები.

(ციტატის დასასრული)

ანუ, ის, რომ ხელოვნურ ინტელექტის, ენობრივი ტექნოლოგიების და, აგრეთვე, ევროპის ენების თანასწორობის ორგანიზაციის (<https://european-language-equality.eu/agenda/>) ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, გეორგ რემი, კარს მომდგარი ხელოვნური ინტელექტის ეპოქის მიჯნაზე ევროპის ციფრული სუვერენიტეტის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით დღესაც ანუ 2023 წელსაც ხაზს უსვამს ევროპაში ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებისა და განვრცობის გადაუდებლობას, მოგვიწოდებს მთელ ევროპაში ევროპაშივე შექმნილი ენობრივი ტექნოლოგიების გამოყენებისკენ და, ამასთან, ის, რომ ის ერთსაც და მეორესაც აკეთებს ევროპის ციფრული სუვერენიტეტის დაცვის მიზანთა ჭრილში, ჩვენთვისაც მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები უნდა იყოს, რადგან თუ ევროპა ზრუნავს ევროპის ციფრული სუვერენიტეტის დაცვაზე, ცხადია, ჩვენ მით უფრო ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ქართული სახელმწიფოს ციფრული სუვერენიტეტის დაცვისა და განვითარების მიზნებით, რადგან ქართული და უფრო მეტად კი აფხაზური ენა ტექნოლოგიური მხარდაჭერით ბევრ ევროპულ ენას ჩამორჩება ხელოვნური ინტელექტის ეპოქისადმი მზაობის თვალსაზრისით!

უფრო მეტი სიცხადისთვის მიმოვიხილოთ <https://european-language-equality.eu/ele-book/> მისამართზე გეორგ რემისა და ენდი ვეის რედაქტორობით 2023 წელს გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომი „ევროპული ენობრივი თანასწორობა: ციფრული ენობრივი თანასწორობის სტრატეგიული დღის წესრიგი - კოგნიტიური ტექნოლოგიები“. კერძოდ, იხილეთ ამ ნაშრომის 45-ე თავის „სტრატეგიული კვლევა, ინოვაცია და ევროპაში 2030 წლისთვის ციფრული ენობრივი თანასწორობის განხორციელების დღის წესრიგი - კოგნიტიური ტექნოლოგიები“ 388-ე გვერდზე განთავსებული ყოვლისმომცველი შეჯამების³⁸ პირველი აბზაცი, რომლის ჩემეულ თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ:

(ციტატის დასაწყისი)

ELE პროგრამის ზოგადი ხედვაა 2030 წლისთვის ევროპაში სრული ციფრული ენობრივი თანასწორობის (DLE) მიღწევა. ეს პროგრამა მომზადდა ენობრივი ტექნოლოგიების (LT), ბუნებრივი ენების დამუშავების (NLP), გამოთვლითი

³⁸ ყოვლისმომცველი შეჯამება არის მცდელობა ქართული შესატყვისი მოვუძებნო ტერმინს Executive Summary-ის. - არ მაქვს განცდა იმისა, რომ ეს საუკეთესო შესატყვისია!!!


ლინგვისტიკისა და ენაზე ორიენტირებული ხელოვნური ინტელექტის (AI) ევროპული საზოგადოებებისა და, აგრეთვე, სხვადასხვა წამოწყებების და მათი შესაბამისი დაინტერესებული მხარეების და ასოციაციების, მათ შორის ენობრივი საზოგადოებების წარმომადგენლების ერთობლივი მონაწილეობით. ამასთან, ისე, როგორც ეს მითითებულია 2018 წლის ევროპარლამენტის რეზოლუციაში „ენობრივი თანასწორობა ციფრულ ეპოქაში“ (ევროპარლამენტი 2018), ELE პროგრამა მოქმედებს მოწოდებით „ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შეიქმნას სპეციალურად ევროპის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი კოორდინირებული დაფინანსების პროგრამა ენობრივი ტექნოლოგიების სფეროში კვლევის, განვითარებისა და ინოვაციებისთვის“. ELE პროექტის შედეგები გვიჩვენებს, რომ ინგლისური კვლავაც არის საუკეთესო და ყველაზე ყოვლისმომცველი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მქონე ენა, რომელსაც მკვეთრად და თვალშისაცემად ჩამორჩება სამი ენისგან (გერმანული, ესპანური, ფრანგული) შემდგარი ენათა ჯგუფი, რომელთა ტექნოლოგიური მხარდაჭერა მხოლოდ ნახევარია ინგლისური ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერისა. ამ სამენოვან ჯგუფს კიდევ ერთი მკვეთრი ჩავარდნის შემდეგ მოჰყვება ფრაგმენტული მხარდაჭერის მქონე ენების გრძელი კუდი, რომელიც იწყება ფინური, იტალიური და პორტუგალიური ენებით. 90 გამოკვლეული ენიდან დაახლოებით ნახევარზე მეტს სუსტი ან/და არანაირი ტექნოლოგიური მხარდაჭერა არ გააჩნია. 2012 წლის დროინდელ წინა შედეგებთან შედარებით (რემი და უშკორეიტი 2012), ინგლისურსა და სხვა ენებს შორის არსებული უფსკრული ანუ მკვეთრი განსხვავება, როგორც ჩანს, უფრო და უფრო გაიზარდა ნაცვლად იმისა, რომ უფრო და უფრო შემცირებულიყო. ყველა ეს ჩვენს მიერ შესწავლილი ენები, გარდა ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულისა და ესპანურის, მოქცეულნი არიან ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ეკოსისტემებში, რომლებიც არც ასტიმულირებენ, არც ახალისებენ და არც მხარს უჭერენ ამ ენებისთვის ტექნოლოგიების განვითარებას და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ 30-ვე ევროპულ ქვეყანაში დანერგილია ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგია. როგორც ჩანს, თითქმის ყველა ამ ეროვნულ სტრატეგიაში ან უნებლიედ, ან განხილვის შედეგად უგულებელყოფილია როგორც საზოგადოდ ენების, ისე ამ ენებზე ორიენტირებული ხელოვნური ინტელექტის თემები.

(ციტატის დასასრული)³⁹

³⁹ მიუხედავად ჩვენი ზემოწარმოდგენილი მიგნებებისა, იმავე პერიოდში, ესპანეთმა დააფინანსა 1.1 მილიარდი ევროს ღირებულების PERTE-ს სახელით ცნობილი ენის ეკონომიკის ახალი პროგრამა, იმ მიზნით, რომ „მაქსიმალურად გაზარდოს ესპანური ენისა და მისი თანაოფიციალური ენების ღირებულება/მნიშვნელობა ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში“ (იხილეთ <https://planderecuperacion.gob.es/como-acceder-a-los-fondos/pertes/perte-nueva-economia-de-la-lengua>).

შესაბამისად, ამ სფეროში ჩამორჩენის ნაცვლად ესპანეთი ახლა არის მაგალითი იმის, რაც უნდა და შეიძლება გაკეთდეს ევროპული ენებისა და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მხარდასაჭერად, ამასთან PERTE პროგრამა არის მაგალითი სხვა ერებისთვის, რათა მათ მოახდინონ ამ პროგრამის ადაპტირება მათ საკუთარ კონკრეტულ სიტუაციასთან. - ამ სქოლიოს ეს აქ უკვე გაუმუქებული შრიფტით მოცემული ნაწილი დედნის ანუ საწყისი სათარგმნი ტექსტის შემადგენელია, ხოლო ის მცირე ლექსიკონი, რომელიც აქვეა წარმოდგენილი, კითხვის ინტერესების გათვალისწინებით, ჩემს მიერ არის მომზადებული: 1. ELE = European Language Equality//ევროპული ენების თანასწორობა; 2. DLE = Digital

იმ მიზნით, რომ ეს ზემოთ წარმოდგენილი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ციტატა უფრო გასაგები გახდეს მკითხველისთვის, ქვემოთ მომყავს დიაგრამა_N1, რომელიც აღებულია იმავე წიგნიდან, რომლიდანაც აღებულია თავად ეს ციტატა.⁴⁰



დიაგრამა_N1

ამგვარად, ეს ზემოთ წარმოდგენილი დიაგრამა_N1 ზემომოყვანილ ციტატასთან ერთად გასაგებს ხდის, თუ რას გულისხმობს ის, რომ ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით ინგლისურს მკვეთრად ჩამორჩება მასზე მოდევნებული გერმანული, ესპანური და ფრანგული ენები და ასევე იმასაც, თუ რას გულისხმობს ის, რომ ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით ამ ენებს მოდევნებული ენათა გრძელი კუდი მკვეთრად ჩამორჩება ინგლისურისგან მკვეთრად ჩამორჩენილი გერმანული, ესპანური და ფრანგული ენების ჯგუფს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ამ ზემოთ უკვე მიმოხილულ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე <https://www.europarl.europa.eu/cmsdata/257055/Rehm.pdf> მისამართზე არსებული პროფესორ გეორგ რემის მოხსენების მოკლე სლაიდ ვერსია დასახელებით „რეკომენდაციები 2030 წლისთვის სრული ციფრული ენობრივი თანასწორობის მისაღწევად“ („Recommendations towards full Digital Language Equality by 2030“).

ეს მოხსენება მან გააკეთა როგორც ევროპის ენობრივი თანასწორობის საზოგადოების წამყვანმა ექსპერტმა და, აგრეთვე, როგორც ხელოვნური ინტელექტის გერმანული კვლევითი ცენტრის წამყვანმა მკვლევარმა 2022 წლის 8 ნოემბერს ვორკუოფზე ანუ სამუშაო შეხვედრაზე დასახელებით „მრავალენოვან ევროკავშირში სრული ციფრული ენობრივი თანასწორობისკენ“. იმაში დასარწმუნებლად, რომ გეორგ რემის ეს უკანასკნელი მოხსენება მართლაც მეტად მნიშვნელოვანია ზემოთ უკვე

Language Equality//ციფრული ენობრივი თანასწორობა; 3. LT = Language Technology//ენობრივი ტექნოლოგიები; 4. NLP = Natural Language Processing//ზუნებრივი ენების დამუშავება; 5. AI = Artificial Intelligence//ხელოვნური ინტელექტი.

⁴⁰ კერძოდ, ის აღებულია გეორგ რემისა და ენდი ვეის რედაქტორობით 2023 წელს გამოცემული ნაშრომის „ევროპული ენობრივი თანასწორობა: ციფრული ენობრივი თანასწორობის სტრატეგიული დღის წესრიგი- კოგნიტიური ტექნოლოგიები“ 81-ე გვერდიდან (იძებნება <https://european-language-equality.eu/ele-book/> მისამართზე).

წამოწყებული მსჯელობის ქრილში, ქვემოთ სურათების სახით მომცვას მასალა მისი ამ მოხსენებიდან მათზე თანდართული მცირე კომენტარებითურთ:


“Language Equality” EP Resolution (2018)

European Parliament Resolution “Language equality in the digital age” P8_TA(2018)0332 – Voting (11 Sept. 2018): 592 yes – 45 no

Recommendation: Establish a large-scale, long-term coordinated funding programme for research, development and innovation in the field of language technologies, at European, national and regional levels, tailored specifically to Europe’s needs and demands

Council of the European Union – Education, Youth, Culture and Sport Council, 4-5 April 2022:

The conclusions call for the development of an ambitious digital policy for the development of language technologies [...].



სურათი_N2

კომენტარი: აქ, როგორც ხედავთ, გეორგ რემი მისივე აქტივობის შედეგად დამტკიცებული ევროპარლამენტის რეზოლუციაზე „ენობრივი თანასწორობა ციფრულ ეპოქაში“ დაყრდნობით იძლევა შემდეგ რეკომენდაციას: „ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შეიქმნას ევროპის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე სპეციალურად მორგებული მასშტაბური, გრძელვადიანი და კოორდინირებული დაფინანსების პროგრამა ენობრივი ტექნოლოგიების სფეროში კვლევის, განვითარებისა და ინოვაციებისთვის [...]“.

ასევე, ევროკავშირის განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭოს 2022 წლის 4-5 აპრილის სხდომის დასკვნების პირდაპირი გათვალისწინებით გეორგ რემი ხაზს უსვამს, რომ „საბჭოს დასკვნები მოუწოდებენ ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებისთვის ამბიციური ციფრული პოლიტიკის შემუშავებისკენ [...]“.

ანუ, და ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტთან ერთად მივმართავ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომელიც ყოველთვის იყო და დარწმუნებული ვარ კვლავაც იქნება საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების მხარდამჭერი:


უკვე დროა შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის და მშვიდობიანი გზებით საქართველოს გაერთიანების მიზნებზე სპეციალურად მორგებული მასშტაბური, გრძელვადიანი და კოორდინირებული დაფინანსების პროგრამა ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების სფეროში კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების მხარდაჭერისთვის, რა მიმართულებითაც პირველი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როგორც ეს ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა 2025 წლის 15 მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrFri/view?usp=sharing

მისამართზე წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ ამოქმედებით!

DLE Metric: Technological Scores

EUROPEAN
LANGUAGE
EQUALITY




დიაგრამა_N3

კომენტარი: აქ, როგორც ხედავთ, გეორგ რემი გვაწვდის ციფრული ენობრივი თანასწორობის ანუ ცეთ-ის გაზომვებს ტექნოლოგიური ქულების სახით (DLE Metric: Technological Scores). ამასთან, აჯამებს რა ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების დიაგრამით მოცემულ სურათს, შემდეგს ამბობს: „ინგლისურისა და, გარკვეულწილად, გერმანული, ესპანური და ფრანგული ენების გარდა, ყველა სხვა ევროპული ენა ძლიერ არასაკმარისად არის მხარდაჭერილი მონაცემების, ინსტრუმენტების და ტექნოლოგიების თვალსაზრისით.“ - ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ იხილეთ 2014 წლის ნაშრომი „ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!“ (ავტორი: კონსტანტინე ფხაკაძე, სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი), რომელიც მეორე გამოცემით გამოქვეყნდა <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf> მისამართზე განთავსებული ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ 21-ე - 62-ე გვერდებზე. ანუ, აქაც იგივეა სათქმელი და 11 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მიწევს ფაქტიურად იგივეს აქტუალიზება:

ის, რომ ინგლისური და, გარკვეულწილად, გერმანული, ესპანური და ფრანგული ენების გარდა, ყველა სხვა ევროპული ენა ძლიერ არასაკმარისად არის მხარდაჭერილი მონაცემების, ინსტრუმენტების და ტექნოლოგიების თვალსაზრისით, სრულიად ცხადსა და გასაგებს ხდის, რომ არანაკლებ მძიმე დღეშია საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენა - ქართული და, რაც აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო მძიმე დღეშია საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა - აფხაზური, რაც, მთლიანობაში, იმას, რომ

საქართველოს სახელმწიფოს ენების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ზომები აქვს მისაღები, ცხადსა და გასაგებს ხდის!



დიაგრამა_N4

კომენტარი: აქ, ამ 2022 წლის დიაგრამაში,⁴¹ მცირე კონტურით ჩადგმულია 2012 წლის ანალოგიური ხასიათის დიაგრამა, რომელზეც წითელი ფერით მოცემული ევროპული ენები მეტა-ქსელის მიერ ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ენებად იქნენ გამოცხადებულნი. - ეს საკითხები, როგორც უკვე აღვნიშნე, დეტალურადაა მიმოხილული 2014 წლის ნაშრომში „ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!“, რომელიც, როგორც ასევე უკვე აღვნიშნე, <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf> მისამართზე გამოქვეყნდა მეორე გამოცემით.

ხაზგასასმელია, რომ ამ 2014 წლის ნაშრომმა და, აგრეთვე, [https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2015 2016 %E1%83%A5%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A N9.pdf](https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2015%202016%20%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A%20N9.pdf) მისამართზე განთავსებული ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ მე-4 – 130-ე გვერდებზე გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა: საფუძვლები და გამოყენებები - ნაწილი პირველი - წინათქმა“, ასევე, ამავე ჟურნალის 131-ე - 158-ე გვერდებზე გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „ღია წერილი ქართულ საზოგადოებას ანუ უკვე ნამდვილად დროა ერთად მივხედოთ


⁴¹ ეს 2022 წლის დიაგრამა 2023, 2024 და 2025 წლების დიაგრამებადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ წლების განმავლობაში, ამ მხრივ ასიმეტრიული ანუ არსებითი ხასიათის ცვლილებები, გარდა თუ არა იმისა, რომ გამოჩნდა ChatGPT-ი და სხვა მისი მსგავსი ამერიკული და ჩინური სისტემები და, აგრეთვე, გარდა თუ არა იმისა, რომ ესპანური ენა დაწინაურდა, არ შეიმჩნევა.

ქართულ ენას!“, მაშინ 20014 – 2016 წლებში და მერეც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ თვალსაზრისებით აკადემიის მეტად ჯანსაღი და ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების ყოველმხრივ მხარდამჭერი პოზიციების გამოკვეთაში (<https://drive.google.com/file/d/1r4UvkERzZBRzeREJnxYv8KTKfBEbx28U/view?usp=sharing>).

გარდა ამისა, ეს საკითხები მიმოხილულია გარეთვე 2022 წლის ნაშრომში „საქართველოში ქართული და აფხაზური ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია“ (იხილეთ <https://drive.google.com/file/d/119S1ehw29BZoiK7b8cGVNanh1vDcbUU/view?usp=sharing> მისამართზე გამოქვეყნებული მასალა), რომლის საფუძველზე თსუ აკადემიურმა საბჭომ 2022 წლის 26 დეკემბერს მოიწონა და მხარი დაუჭირა საქართველოში ქართული და აფხაზური ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების თაობაზე სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში“ შემუშავებულ კონცეფციას.

ანუ, ჩემი ამ კომენტარის დასასრულს მომყავს გეორგ რემის იმ კომენტარის ჩემეული თარგმანი, რომელიც მან სურათზე მოცემულ 2012 წლის დიაგრამას დაადგა: „ის უფსკრული, რომელიც ინგლისურსა და მის შემდგომ მომავალ ენათა ჯგუფს (კლასტერს) შორის არსებობს, კი არ მცირდება, არამედ იზრდება“.

გეორგ რემის ეს კომენტარი, რომელიც ცხადია შეეხება ინგლისურსა და სხვა ევროპულ ენებს, ამავდროულად აღმატებული ძალითა და ხარისხით შეეხება აგრეთვე ქართულ და აფხაზურ ენებს, რადგან ChatGPT-ი და სხვა მისი მსგავსი ამერიკული და ჩინური ანალოგები ჯერ კიდევ არ არის ადამიანის მსგავსი ხელოვნური ინტელექტის ამოცანის სრული და ამომწურავი გადაწყვეტები, რომელთა მოძიება სხვადასხვა ენებში ამ ენების კომპიუტერული „ტვინების“ ანუ, სხვა სიტყვებით, ტექნოლოგიური ანბანების შემუშავებას უტოლდება, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ასეთი კომპიუტერული „ტვინების“ არ მქონე ენებს მომავლის კულტურულ სამყაროში კულტურული განვითარების პერსპექტივები თითქმის უნუღდებათ!!!




დიაგრამა_N5

კომენტარი: აჲ, წარმოგიდგენთ, გრეგორ რემის მიერ სურათზე დადებული კომენტარის ჩემეულ თარგმანს: „თითქმის ყველა ევროპული ენა არსებობს ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ეკოსისტემაში, რომელიც არც ხელს უწყობს, არც ახალისებს და არც მხარს უჭერს ამ ენებისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას.“

ამასთან, როგორც ხედავთ, სურათზე არსებულ მოგრძო-მოწითალო ფერის მართკუთხა ჩარჩოში მოქცეულია ტექნოლოგიურად დაწინაურებული ინგლისური,

გერმანული და ფრანგული ენების გარდა ყველა სხვა ევროპული ენა. ანუ, ამით, ავტორი იმას გვეუბნება, რომ 2022 წლამდე ხინჯიან ანუ ენობრივი ტექნოლოგიების მაიგნორირებელ სოციალურ-პოლიტიკურ ეკოსისტემებში იყო მოქცეული ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების გარდა ყველა სხვა დანარჩენი ევროპული ენა, რამაც განაპირობა ის, რომ ეს ევროპული ენები ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ევროპულ ენებს.

იმ მიზნით, რომ ეს ზემოთ წარმოდგენილი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ციტატა კიდევ უფრო გასაგები გახდეს მკითხველისთვის ანუ იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის უფრო გასაგები გახდეს რას გულისხმობს გეორგ რემი, როცა ამბობს, რომ „თითქმის ყველა ევროპული ენა არსებობს ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ეკოსისტემაში, რომელიც არც ხელს უწყობს, არც ახალისებს და არც მხარს უჭერს ამ ენებისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას“, ქვემოთ, კიდევ ერთხელ მომყავს ზემოთ ერთხელ უკვე მოყვანილი დიაგრამა_N1.



დიაგრამა_N1

კომენტარი: საქმე ისაა, რომ ამ ზემოთ მოცემულ 2003 წლის დიაგრამაზე (იგულისხმება დიაგრამა_N3 და დიაგრამა_N4) ესპანური ენა არის მესამე ადგილზე გერმანულის შემდეგ და წინ უსწრებს ფრანგულს, მაშინ როდესაც ზედა 2022 წლის დიაგრამა_N5-ზე ესპანური არის მეხუთე ადგილზე იტალიურის შემდეგ და ამ იტალიურთან ერთად არის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა იმ დიდ ჯგუფში, რომელიც მოგრძო და მოწითალო ფერის მართკუთხედით არის სურათზე შემოფარგლული.

კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს, კიდევ ერთხელ მოვიყვან კიდევ ერთ ციტატას <https://link.springer.com/book/10.1007/978-3-031-28819-7> მისამართზე განთავსებული ჩვენთვის ნამდვილად მეტად მნიშვნელოვანი და 2023 წელს გამოცემული ნაშრომიდან „ევროპული ენობრივი თანასწორობა: ციფრული ენობრივი თანასწორობის სტრატეგიული დღის წესრიგი - კოგნიტიური ტექნოლოგიები“ (იძებნება <https://european-language-equality.eu/e-e-book/> მისამართზე). კერძოდ, ეს დაპირებული ციტატა აღებულია ამ ნაშრომის 388-ე გვერდზე განთავსებული ყოვლისმომცველი შეჯამების⁴² პირველი აბზაცის ბოლოში არსებული მეორე ჩანართიდან (ანუ ე.წ. ფუტნოტიდან).

⁴² კიდევ ერთხელ ხაზს ვუვსამ, რომ ყოვლისმომცველი შეჯამება არის მცდელობა ქართული შესატყვისი მოვუძებნო ტერმინს Executive Summary-ის. - კვლავ არ მაქვს განცდა იმისა, რომ ეს საუკეთესო შესატყვისია!!!

აქ ისინი შემდეგს წერენ: „მიუხედავად ჩვენი ზემოწარმოდგენილი მიგნებებისა, იმავე პერიოდში, ესპანეთმა დააფინანსა 1.1 მილიარდი ევროს ღირებულების PERTE-ს სახელით ცნობილი ენის ეკონომიკის ახალი პროგრამა, იმ მიზნით, რომ „მაქსიმალურად გაზარდოს ესპანური ენისა და მისი თანაოფიციალური ენების ღირებულება/მნიშვნელობა ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში“ (იხილეთ <https://planderecuperacion.gob.es/como-acceder-a-los-fondos/pertes/perte-nueva-economia-de-la-lengua>). შესაბამისად, ამ სფეროში ჩამორჩენის ნაცვლად ესპანეთი ახლა არის მაგალითი იმის, რაც უნდა და შეიძლება გაკეთდეს ევროპული ენებისა და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მხარდასაჭერად, ამასთან PERTE-ს პროგრამა არის მაგალითი სხვა ქვეყნებისა და ერებისთვის, რათა მათ მოახდინონ ამ პროგრამის ადაპტირება მათ საკუთარ კონკრეტულ სიტუაციასთან.“

ანუ, იმის შედეგად, რომ ესპანეთმა შეადგინა PERTE პროგრამა და გაიღო 1.1 მილიარდი ევროიანი დაფინანსება იმისათვის, რომ „მაქსიმალურად“ გაზარდილიყო „ესპანური ენისა და მისი თანაოფიციალური ენების ღირებულება/მნიშვნელობა ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში“, მიაღწია იმ შედეგს, რომ ერთ წელიწადში ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით უკან მოიტოვა იტალიური და ფრანგული ენები და გერმანულთან და ინგლისურთან ერთად უსაფრთხო ენათა ჯგუფში მოექცა მესამე ადგილით.⁴³ - აქ ისმის ერთი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: ამ კონტექსტში რა შეიძლება ითქვას საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართული და აფხაზური ენების პერსპექტივებზე „ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში“?

არ მინდა ისე გამოვივიდე, რომ, ქვემოთ, ვაფასებ რა ქართული და აფხაზური ენების პერსპექტივებს ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში განზრახ და ხელოვნურად ვამძიმებ ვითარებას, რადგან მკაფიო და კვლევით დადასტურებული პარამეტრები იმისათვის, რომ ჩვენი ენები ზემომდმოხილულ ევროპულ ენებს შევადარო, ჩვენ არ გვაქვს, რაც, თავის მხრივ, ცხადია არის ხელოვნურ ინტელექტისა და ახალი ციფრული ეკონომიკისათვის ჩვენი ენების არასაკმარისი მზაობის ერთ-ერთი აშკარა ნიშან-მახასიათებელი.

ამიტომ, ქვემოთ, შეფასებების გაკეთებისას მე ვიქნები ფრთხილი, იმ თვალსაზრისით, რომ ჩემი შეფასება არ იყოს არც ზედმეტად ოპტიმისტური და არც ზედმეტად პესიმისტური, რაც, ცხადია, მოგვცემს საშუალებას გამოვკვეთოთ რეალური შეფასების შესაძლო ზედა და ქვედა ვარიაციული საზღვრები ყველაზე უფრო მეტად რეალურად და ოპტიმალურად, რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის ყველაზე უფრო სწორად შერჩეული მიზანი მგონია.

თუმცა, მიუხედავად ზემოთ უკვე აღნიშნულისა, მაინც არსებობს მცირე ადგილობრივი გამოცდილება ევროპული ენების ტექნოლოგიურ მხარდაჭერებთან

⁴³

იხილეთ


https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2015_2016_%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A_N9.pdf

მისამართზე გამოქვეყნებული ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ 159-ე - მე-200 გვერდებზე განთავსებული 2015 წლის ნაშრომი სათაურით „პროექტის „კომპანიის - „ქართული ენობრივი ტექნოლოგიები“ - დაფუძნება“ ბიზნესგეგმა“, რომელიც, როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, სასტარტაპო განაცხადის სახით წარდგენილი გვქონდა საპარტნიორო ფონდში, თუმცა იმის გამო, რომ მაშინ ხელოვნური ინტელექტი არ იყო განსაზღვრული სამიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ სასტარტაპო მიმართულებად, დაუფინანსებელი დარჩა, რამაც, ცხადია, არაუმნიშვნელოდ დაგვწია უკან ქართული ენის დაცვის მიზნებში.

ქართული და აფხაზური ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარების და კერძოდ:

1. პირველად ეს მოხდა 2014 წელს ჩემი ავტორობით გამოცემულ ნაშრომში სათაურით „ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!“, სადაც ერთმანეთს შედარდა ქართული და ევროპული ენები;
2. ხოლო ქართული და აფხაზური ენები ერთმანეთსა და ევროპულ ენებს პირველად შედარდა 2020 წლის ნაშრომში სათაურით „ქართული და აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნები და პრობლემები“, რომელიც ჩემი და ჩემი ახალგაზრდა კოლეგების ავტორობით გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში (ტ. 14, No. 3, გვ.36-42, <http://science.org.ge/bnas/t14-n3/06 Pkhakadze Informatics.pdf>).

ამგვარად, „ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ციფრულ ეკონომიკაში“ საქართველოს სახელმწიფო ენების პერსპექტივები ჩემი ღრმა რწმენით არის შემდეგი (ქვემოწარმოდგენილი მოსაზრებების მოკლედ და მკაფიოდ გამოკვეთის მიზნით კიდევ ერთხელ მომყავს ამ ნაშრომში უკვე ორჯერ გამოყენებული დიაგრამა_N1):



დიაგრამა_N1

1. ქართული ენა ტექნოლოგიური მხარდაჭერის მხრივ ვერაფრით ვერ იქნება თითქმის ერთ საფეხურზე მდგარი ესტონურ, დანიურ, ნორვეგიულ, ლიეტუვურ, ჩეხურ და ლატვიურ ენებზე წინ და, ამასთან, ძლიერ ოპტიმიზტური პროგნოზით ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა შეიძლება უტოლდებოდეს ან უსწრებდეს თითქმის ერთ დონეზე მყოფი ბასკური და უელსური ენების ტექნოლოგიურ მხარდაჭერებს;

2. აფხაზური ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა ცხადია საგრძნობლივ ჩამორჩება ქართული ენის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას და, აგრეთვე, ჩემი აზრით, იმის თქმა, რომ აფხაზური ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა ჩამორჩება დიაგრამა_N1-ზე მოცემული ყველაზე დაბალი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მქონე ბოსნიური ენის ტექნოლოგიურ მხარდაჭერასაც, არსებული ობიექტური რეალობის საკვებით რეალისტური შეფასება უნდა იყოს.

ანუ, ქართულ და აფხაზურ ენებთან მიმართებაში ეს ყველაფერი დასკვნების სახით იმას ნიშნავს, რომ **ხელოვნური ინტელექტისა და ახალი ციფრული ეკონომიკის** უკვე კარს მომდგარი და სანახევროდ უკვე ამოქმედებული ეპოქისთვის:

1. ინგლისური, გერმანული, ესპანური და ფრანგული ენების გარდა ყველა სხვა ევროპული ენების მსგავსად ქართული და მით უფრო აფხაზური ენა ძლიერ არასაკმარისად არის მხარდაჭერილი მონაცემების, ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით (იხილეთ, ზემოთ, დიაგრამა_N3 და დიაგრამა_N3-ის კომენტარი). - ძირითადი მიზეზი ამ არსებული საგანგაშო ვითარებისა არის საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა, რითაც, როგორც ადრეც აღინიშნა, დიდი ზიანი მიაღვა ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით მზარდი ტემპებითა და მზარდი ინტენსივობით მიმდინარე საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს;

2. ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით ის უფსკრული, რომელიც ინგლისურსა და ქართულ და აფხაზურ ენებს შორის 2012-2017 წლებში იყო, კი არ მცირდება, არამედ იზრდება (იხილეთ, ზემოთ, დიაგრამა_N4 და დიაგრამა_N4-ის კომენტარი). - ძირითადი მიზეზი ამ არსებული საგანგაშო ვითარებისა არის საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა, რითაც დიდი ზიანი მიაღვა ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით მიმდინარე საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს;


3. ინგლისური, გერმანული, ესპანური და ფრანგული ენების გარდა ყველა სხვა ევროპული ენის მსგავსად, ქართული და აფხაზური ენები არსებობენ ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ეკოსისტემაში, რომელიც არც ხელს უწყობს, არც ახალისებს და არც მხარს უჭერს ამ ენებისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას. - ამ შემთხვევაშიც ძირითადი მიზეზი ამ არსებული საგანგაშო ვითარებისა არის საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა, რითაც დიდი ზიანი მიაღვა ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით მზარდი ტემპებითა და მზარდი ინტენსივობით მიმდინარე საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ დღეს ჩვენ ფაქტიურად არ გვყავს ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის ანუ გამოთვლითი ლინგვისტიკის სპეციალისტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, ცხადია, საქართველოში არ ჩამოყალიბდებოდა ისეთი სოციალურ-პოლიტიკურ ეკოსისტემა, რომელიც არც ხელს უწყობს, არც ახალისებს და

არც მხარს უჭერს ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას.⁴⁴

ამგვარად, ბატონო მამუკა, ქალბატონო თეა, იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ ქართული ენა და მისი სამომავლო ბედ-იღბალი, ისევე როგორც აფხაზური ენა და მისი სამომავლო ბედ-იღბალი, თქვენთვისაც ისევე მნიშვნელოვანია როგორც ჩემთვის და, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი ქართველისთვის, მომეცას <https://www.europarl.europa.eu/cmsdata/257055/Rehm.pdf> მისამართზე არსებული პროფესორ გეორგ რემის მოხსენებიდან „რეკომენდაციები 2030 წლისთვის სრული ციფრული ენობრივი თანასწორობის მისაღწევად“ კიდევ ერთი სურათი:

Language Technology and National AI Strategies

EUROPEAN
LANGUAGE
EQUALITY



While developing the national AI strategies, language was simply ignored or missed or left out. There is an immense need for (a) pan-European coordination and (b) for putting LT into the national AI strategies and into the policies for language, cultural and technological development.

EUROPEAN
LANGUAGE
EQUALITY

8

სურათი_N6

კომენტარი: ეს გვერდი, რომელიც თავად ავტორის მიერ წოდებულია როგორც „ენობრივი ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიები“, ჩვენთვის მრავალმხრივ საყურადღებოა, თუმცა, ამჯერად გავმახვილდებით მხოლოდ შემდეგზე:

1. სურათი_N6-ის თანახმად, გამოკვლეული 30 ევროპული ქვეყნიდან თითოეულს აქვს ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია და, ამ კონტექსტში, ის, რომ 2024 წლიდან საქართველოს პრემიერმა, ბატონმა ირაკლი კობახიძემ ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად ხელოვნური ინტელექტის განვითარება გამოკვეთა, ნიშნავს იმას, რომ საქართველოსაც, მსგავსად ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობისა, უკვე აქვს ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია;

2. თუმცა, იმავე დიაგრამაზე, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ ოთხ ქვეყანას აქვს სპეციალური LT ანუ ენობრივი ტექნოლოგიების პროგრამა, ესენია: დანია, ესტონეთი, ისლანდია, ესპანეთი.

ამასთან დაკავშირებით, თამამად შეიძლება ითქვას შემდეგი: მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერის, ბატონი ირაკლი კობახიძის მხარდაჭერით 2025 წლის 15

⁴⁴ ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ეს ასე არ იყოს. - ამით იმის თქმა არ მინდა, რომ დეპარტამენტს ვინმე ხელს უშლის, არამედ ამით იმას ვამბობ, რომ ადვილი არ არის ასეთი რთული და კომპლექსური საკითხების წინ წაწევა და გადაწყვეტა!

მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედდა „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი“, საქართველო ის მე-5 ევროპული ქვეყანაა, რომელსაც საწყისი სახით უკვე აქვს ენობრივი ტექნოლოგიების სპეციალური პროგრამა, რომელიც, ცხადია, სწრაფი და გეგმაზომიერი ნაბიჯებით უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს.

თუმცა, აქ, აუცილებლად ხაზგასასმელია შემდეგი: რომ არა საქართველოს ე.წ. მესამე პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა, რითაც დიდი ზიანი მიაღება ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით მიმდინარე საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესებს ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2006 წელს რომ არ გაეუქმებინათ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ და ამ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით თსუ-ში დაფუძნებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა, ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების სრულფასოვანი სპეციალური პროგრამა სულ მცირე 2008-2010 წლიდან უკვე გვექნებოდა, რაც, თავის მხრივ, იმას, ნიშნავს, რომ დღეს არც ქართული ენა არ იქნებოდა ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ და, შესაბამისად, არც აფხაზური ენა იქნებოდა მეტად მაღალი საფეხურის ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ! - ეს ასეა, ქალბატონო თეა, ბატონო მამუკა, და, ამიტომ, ის დიდი ზიანი, რაც ქართულ და აფხაზურ ენებს მიაღებათ ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის“ ან უგუნური ან მოღალატეობრივი ანტიქართული ანუ, ამ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო ენების საზიანო პოლიტიკით, ვფიქრობ, აუცილებლად ითხოვს მაღალ სახელმწიფოებრივ საფეხურზე გადააზრებას, შეფასებასა და ფართო საზოგადოებისთვის აღნიშნულზე ინფორმაციის მიწოდებას!

3. და ბოლოს, სურათ_N6-ზე მოცემულია აგრეთვე ჩვენთვის საყურადღებო დასკვნითი ხედვა და ეს ხედვა ასეთია: „ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებისას ხშირ შემთხვევებში ენა უბრალოდ იგნორირებული ან შემთხვევით დავიწყებული ანდა შეგნებულად გამოტოვებული იყო. ამიტომ არსებობს (ა) საერთოევროპული კოორდინაციის და (ბ) ხელოვნური ინტელექტის ეროვნულ სტრატეგიებსა და ენის, კულტურისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკაში ენობრივი ტექნოლოგიების ჩართვის უდიდესი საჭიროება.“ - ამასთან დაკავშირებით, ბატონო მამუკა, ქალბატონო თეა, იმის გათვალისწინებით, რომ ვარ სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან არსებული სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრი, ხაზს ვუსვამ შემდეგს:⁴⁵

სურათ_N6-ზე ზემოთ წარმოდგენილი დასკვნითი ხედვის შესაბამისად ჩემთვის სრულიად ცხადია და ადრეც სრულიად ცხადი იყო „ხელოვნური ინტელექტის ეროვნულ სტრატეგიებსა და ენის, კულტურისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკაში ენობრივი ტექნოლოგიების ჩართვის უდიდესი საჭიროება“ და, აქედან

⁴⁵ ძალიან მეიმედება ბატონი ბიძინა ივანიშვილის საპატიო თავმჯდომარეობით მოქმედი „ქართული ოცნების“ დღეს ერთ მუშტად შეკრული პოლიტიკური გუნდი, რომელიც გახარიას გადადგომის მერე გამოიკვეთა და რომელსაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, შესწევს ძალა ამ უმძიმეს ტურბულენტურ პოლიტიკურ გარემოში სამშვიდობას გაიყვანოს ჩვენი ქვეყანა როგორც მამულით, ისე ენით, ასევე სარწმუნოებით!

გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევ სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიაში ცალკე ქვეკომისიის სახით ენობრივი ტექნოლოგიების ქვეკომისიის გამოყოფას,⁴⁶ რადგან თუ ევროპელები ევროპული ენების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე „საერთოევროპული კოორდინაციის“ უდიდესი საჭიროების არსებობაზე საუბრობენ, ჩვენც ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნები სრული სიცხადით გვკარნახობს საერთო ქართული ან, თუ გნებავთ, საერთო ქართულ-აფხაზური კოორდინაციის უდიდეს საჭიროებას!

SRIA: Policy, Governance, Technology, Data, Infrastructure



- **ELE Programme** – shared, long-term, coordinated, collaborative LT funding programme:
 - *Tailored to Europe's needs, demands and values – EU's multilingualism and language equality*
 - **EU:** Coordination, shared infrastructures, scientific goals, ELE principles etc.; flex funds
 - **Participating countries:** funding for the development of technologies for their languages
- Allocate multilingualism and Language Technology to the portfolio of a Commissioner (again)
- Reduce the technology gap between English and all other European languages
- Address the lack of available data (relevant for *all* European languages except English)
- Focus upon open source, open access, open standards, interoperability; foster standardisation
- Strengthen existing and emerging infrastructures and data spaces
- Ensure access to suitable HPC infrastructure

ELE STOA Workshop 2022

12

სურათი_N7

კომენტარი: ამ, აქ, ზემოთ უკვე გამოკვეთილ არაუმნიშვნელო მოსაზრებას, ამყარებს აგრეთვე <https://www.europarl.europa.eu/cmsdata/257055/Rehm.pdf> მისამართზე არსებული პროფესორ გეორგ რემის მოხსენებიდან „რეკომენდაციები 2030 წლისთვის სრული ციფრული ენობრივი თანასწორობის მისაღწევად“ აღებული და ქვემოთ წარმოდგენილი კიდევ ერთი გვერდი, რომელსაც ბუნებრივია ვუწოდოთ SRIA-ს⁴⁷ ანუ სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის გვერდი. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქ ქვემოთ წარმოდგენილი სურათი_N7-ით მოცემულ გვერდზე არცერთი ჩანაწერი არ არის უმნიშვნელო, გამოვყოფ და ხაზს გავუსვამ მათგან მხოლოდ შემდეგს ორს:

1. პირველი ეს არის ინგლისური ფრაზა „**Reduce the technology gap between English and all other European languages**“, რაც ქართულად შემდეგ მოწოდებად ითარგმნება „შევამციროთ ინგლისურსა და ყველა სხვა ევროპულ ენას შორის არსებული ტექნოლოგიური უფსკრული“, რაც, თავის ხმრივ, ჩვენთვის ბუნებრივად ითარგმნება შემდეგ მოწოდებაში „შევამციროთ ინგლისურ,

⁴⁶ იმის გათვალისწინებით, რომ კარგად ვიცნობ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ გია ალიბეგაშვილს და არამარტო ზუსტად, არამედ არაერთწლიანი გამოცდილებითაც ვიცი, რომ ის ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნების სასიკეთო წამოწყებებს, დარწმუნებული ვარ რომ უახლოეს მომავალში სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიაში ცალკე ქვეკომისიის სახით გამოიყოფა ენობრივი ტექნოლოგიების ქვეკომისია, რაც 2025 წლის 15 მაისდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედებულ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების კვლევით ინსტიტუტთან“ ერთად კიდევ ერთი მნიშვნელოვან ბერკეტად იქცევა საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზანთა სამსახურში.

⁴⁷ SRIA ამოკლებს ინგლისურ ფრაზას - Strategic Research and Innovation Agenda, ქართულად ეს არის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების გეგმა (ანუ დღის წესრიგი).

ქართულ და აფხაზურ ენებს შორის არსებული ტექნოლოგიური უფსკრული“. - თუმცა, მე ვფიქრობ, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს არა ამ ხსენებული „ტექნოლოგიური უფსკრულის“ შემცირების მიზანი, არამედ ამ „უფსკრულის“ სრული აღმოფხვრის მიზანი, რადგან ჩვენს მომავალ თაობებს ვერ ვაიძულებთ ისარგებლონ უხარისხო ანუ არასრულყოფილი ქართული კომპიუტერული „ტვინით“, მითუმეტეს მაშინ როდესაც მათ ექნებათ ხარისხიანი ანუ სრულყოფილი ინგლისური კომპიუტერული „ტვინით“ სარგებლობის შესაძლებლობა. ამასთან, რა თქმა უნდა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, ვერც აფხაზ ახალგაზრდებს ვერ ვაიძულებთ ისარგებლონ უხარისხო ანუ არასრულყოფილი აფხაზური კომპიუტერული „ტვინით“, მითუმეტეს მაშინ როდესაც დიდი ალბათობით მათ ექნებათ ხარისხიანი ანუ სრულყოფილი ან რუსული ან ინგლისური ან თურქული ან რომელიმე სხვა ენოვანი კომპიუტერული „ტვინით“ სარგებლობის შესაძლებლობა;

2. მეორე ეს არის ინგლისური ფრაზა „**Address the lack of available data (relevant for all European languages except English)**“, რაც ქართულად შემდეგ მოწოდებად ითარგმნება „**აღმოფხვრათ წვდომადი მონაცემების ნაკლულობა (აქტუალურია/ძალაშია ყველა ევროპული ენისთვის, გარდა ინგლისურისა)**“, რაც, თავის მხრივ, ჩვენთვის ბუნებრივად ითარგმნება შემდეგ მოწოდებაში „**აღმოფხვრათ ქართულ და აფხაზურ ენებისთვის წვდომადი მონაცემების ნაკლულობა (გარდა ჩვენი სახელმწიფო ენებისა ასევე აქტუალურია/ძალაშია ყველა ევროპული ენისთვის, გარდა ინგლისურისა)**“. - ეს საკითხიც, მსგავსად ზემომიმოხილულისა, სასიცოცხლო მნიშვნელობების მქონეა ხარისხიანი ანუ სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ შესამუშავებლად, რადგან აქ საუბარია ზემოაღნიშნული სახის კომპიუტერული „ტვინების“ შესამუშავებლად აუცილებელი ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსების ნაკლულობის აღმოფხვრაზე, რის გარეშეც სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ შემუშავება დღეს მსოფლიოში გაბატონებული ხედვებით თითქმის მიუღწეველი მიზანია.⁴⁸

ანუ, ბატონო მამუკა, ქალბატონო თეა, იმ ყველაფრით, რაც ზემოთ წარმოვადგინე, ვფიქრობ, საკმარისი სიცხადით დავასაბუთე ის, რომ თუ დავეყრდნობით ენობრივი ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის წამყვან ევროპელ ექსპერტებს:

1. ქართული ენა კარს მომდგარი ხელოვნური ინტელექტის ეპოქისთვის არასაკმარისად არის მომზადებული და, შესაბამისად, ის სხვა ასევე არასაკმარისად მომზადებულ ევროპულ ენებთან ერთად ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშაა;
2. აფხაზური ენა კარს მომდგარი ხელოვნური ინტელექტის ეპოქისთვის ძალიან სუსტად არის მომზადებული და, შესაბამისად, ის სხვა ასევე ძალიან სუსტად მომზადებულ ევროპულ ენებთან ერთად ციფრული კვდომის მეტად მაღალი საფრთხის საფრთხის ქვეშაა;

⁴⁸ შენიშვნა, რომლის გაკეთებას მკარნახობს მხოლოდ მეცნიერული პასუხისმგებლობა: ჩემი აზრით ადამიანის მაგვარი/მსგავსი ხელოვნური ინტელექტის შექმნა აუცილებლობის წესით არ ითხოვს განსაკუთრებით დიდი მოცულობის ენობრივ რესურსებს სხვადასხვა სახის კორპუსების სახით, არამედ ეს ითხოვს ენისა და ამ ენით მოცემული სააზროვნო სისტემის იზომორფული მათემატიკური თეორიის შემუშავებას.

ამგვარად, ახლა უკვე, ვფიქრობ გასაგებია, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი, რომლისთვისაც, ჩემი ღრმა რწმენით, ილიასეული მამული, ენა, სარწმუნოება გზის მომცემი და გზის გამკვალავი წმინდა ტრიადა, იმოქმედებს ამ ზემოთ უკვე დასაბუთებულის შესაბამისად და ყველა ღონეს იხმარს დაიცვას ციფრული კვდომის საფრთხისგან როგორც ქართული ენა, ისე აფხაზური ენა, რაც, თავის მხრივ, ქართული და აფხაზური კულტურებისა და ტრადიციების დაცვასაც ნიშნავს.

და ახლა უკვე მართლა სულ ბოლოს, გავმახვილდები მხოლოდ ქართულ და აფხაზურ ენებზე და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხაზს ვუსვამ წინამდებარე ღია წერილის/განცხადების კიდეც ერთ მთავარ შემადგენელს: 2025 წლის 15 მაისიდან https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrfri/view?usp=sharing მისამართზე განთავსებული პროექტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ამოქმედებული სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო და არის ქართული აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ და ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის შემუშავება და, ამდენად, ამ მეტად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით ხაზს ვუსვამთ შემდეგს.⁴⁹

პირადად ჩემთვის სრულიად ცხადია, რომ ხარისხიანი ანუ თითქმის სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ და ამ თითქმის სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის მესაკუთრე უნდა იყოს მშვიდობიანად გაერთიანებული ქართული სახელმწიფო! - ამას გვკარნახობს ამ მშვიდობიანად გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნები და ვალდებულებები!

ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის სრულყოფილი ქართული კომპიუტერული „ტვინი“, ისევე როგორც თითქმის სრულყოფილი აფხაზური კომპიუტერული „ტვინი“ არ შეიძლება იყოს რომელიმე უცხო ქვეყნის ან/და კომპანიის მართვაში და, შესაბამისად, არც ის შეიძლება, რომ ეს სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინები“ „დასერვერებული“ იყოს უცხო ქვეყნის ან/და კომპანიის „სერვერებზე“, რადგან, კიდეც ერთხელ ვიმეორებ, სრულიად ცხადია, რომ ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ საინტერნეტო ქსელის მესაკუთრე მშვიდობიანად გაერთიანებული ქართული სახელმწიფო უნდა იყოს!⁵⁰

⁴⁹ სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დაფუძნების მიზნები პოპულარულ ანუ ყველასთვის გასაგებ ენაზე 8 პუნქტად არის მოცემული https://drive.google.com/file/d/15wIaCPyvEDNFtsr_9RxOqP5Y3YKqrfri/view?usp=sharing მისამართზე არსებული საინსტიტუტო პროექტის მე-10 - მე-13 გვერდებზე და, აგრეთვე, <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkkee0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> მისამართზე არსებული საინსტიტუტო პროექტის 64-ე - 69-ე გვერდებზე.

⁵⁰ ანუ, ხომ სრულიად ცხადია, რომ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ანუ იმ ეპოქაში, სადაც უკვე მსოფლიოს რიგ ენებში უკვე იარსებებს იმ ენობრივი სრულყოფილი კომპიუტერული „ტვინები“, არ შეიძლება არ არსებობდეს ასევე სრულყოფილი ქართული კომპიუტერული „ტვინი“ და არც ის შეიძლება, რომ ასეთი სრულყოფილი ქართული კომპიუტერული „ტვინი“ კი არსებობდეს, მაგრამ ის იყოს არა

და სულ ბოლოს და ამ აქ უკვე აღნიშნულის გათვალისწინებით, **ბატონო მამუკა, ქალბატონო თეა**, მოგმართავთ როგორც საქართველოს მმართველი პარტიის მაღალ პოლიტიკურ პირებს ჩემი აზრით ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივით:

ღვთის ნებით კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და მასშტაბური ციფრული ეკონომიკის ეპოქის მიჯნაზე მე მგონი უკვე დადგა დრო საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ინიციატივით გაცხადდეს ის, რომ „იქოქება“ სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ და მაქსიმალურად ავტონომიური საინტერნეტო ქსელის შემუშავების **მეგაპროექტი**, რაც, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, იმის გარანტიაც იქნება რომ ნებისმიერი სახის ქართული და აფხაზური კულტურული პროდუქცია „დასერვერებული“ იქნება არა უცხოეთში განლაგებულ სერვერებზე, არამედ ქართულ-აფხაზურ ანუ საქართველოსა და სოხუმში განლაგებულ „სერვერებზე“, რაც, თავის მხრივ, მშვიდობიანად გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსთვის იმის გარანტია იქნება, რომ ვერ „დაგვაშანტაჟებენ“ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის აუცილებელი კულტურულ-ეკონომიკური საქმიანობათა საწარმოებლად აუცილებელი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ან გაუქმებით (ანუ, მათ მიერვე შემუშავებული ინსტრუმენტების ან უბრალოდ არ მოწოდებით ან მხოლოდ ძლიერ მაღალ ფასში მოწოდებით) ან ჩამორთმევით (ანუ, ჩვენს მიერ შემუშავებული და მათთან დასერვერებული ინსტრუმენტების გაყინვით ან/და გაუქმებით) დაახლოებით ისე, როგორც დღეს ამას აკეთებენ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საპატიო თავმჯდომარის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მათ ბანკებში „დასერვერებულ“ კანონიერ ქონებებთან მიმართებაში იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ, მათი აზრით, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამხრეთიდან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის ჩვენი ქვეყნის „ფიჩხად შენთება“!⁵¹

კონსტანტინე ფხაკაძე, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრი, სტუ ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი, სტუ საქართველოს

ქართული სახელმწიფოს საკუთრებასა და მართვაში, არამედ იყოს უცხო ქვეყნების ან/და უცხო კომპანიების საკუთრებასა და მართვაში! - ეს, ვფიქრობ, იმდენად ცხადია, რომ ამის კიდევ დამატებითი მტკიცება, რომ ეს ნამდვილად ასეა, ზედმეტად მეჩვენება, თუმცა, ჩვენთვის ანუ, ქართული საზოგადოების მამული, ენა, საწრმუნოებით მოქმედი ნაწილისთვის, ასევე სრულიად ცხადია ისიც, რომ არა მამული, ენა, საწრმუნოებით, არამედ უცხოური დაფინანსებით და, შესაბამისად, უცხოური გავლენებით მოქმედი ძალებისთვის ეს ჩვენთვის სრულიად ცხადი იმდენად არაცხადი გახდება, რომ მათ ამას, სანამ უკანონო ანუ არაგამჭვირვალე ანუ არადეკლარირებული ანუ ქვეყნის საზიანო უცხოური დაფინანსებით უდგათ „სული“, ვერც ავუხსნით და ვერც გავაგებინებთ!

⁵¹ ვფიქრობ, უფრო გასაგებად იმის თქმა, რასაც ჩვენ ჩვენი ეს „დაუძინებელი მეგობრები“ გვიპირებენ, შეუძლებელია! - „დაუძინებელი მეგობრები“ ანუ „ქართული ოცნების“ მიერ დამკვიდრებული სიტყვათა ეს შერწყმა იმდენად ზუსტად გადმოგვცემს სათქმელს, რომ ეჭვგარეშეა მისი გენიალობა ანუ ხალხურობა, რაც, ჩემთვის, კიდევ ერთი დასტურია გახარბის შემდგომი „ქართული ოცნების“ ნიჭიერების ანუ ხალხურობის! - ასევე, აქ ხაზი მინდა გაესვას იმასაც, რომ ქართულ-აფხაზური „ჭკვიანი“ სახელმწიფო საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების აუცილებლობის შესახებ ოფიციალური განაცხადი ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად პირველად 2018 წელს გავაკეთე. - ამ ხაზგასმას იმიტომ ვაკეთებ, რომ არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ჩემი ზემოწარმოდგენილი საპარლამენტო ინიციატივის მიზეზია ბოლო ორი წლის ფარგლებში მეტად აქტუალიზებული ხელოვნური ინტელექტის თემა და პრობლემატიკა და, ვფიქრობ, არავინ იფიქრებს ასე, რადგან ვინც წინამდებარე ღია წერილის/განცხადების ტექსტს გაეცნობა, თავისთვის აღმოაჩენს, რომ ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების აუცილებლობაზე ჩვენ უწყვეტივც ვსაუბრობთ 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე.

სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მინაწერი: მიუხედავად იმისა, რომ ზემოწარმოდგენილი ღია წერილის/განაცხადის ტექსტში მრავლადაა ჩადგმული სასაყრდენე წყაროები და პუბლიკაციები, მაინც გადავწყვიტე წინამდებარესათვის დამერთო რიგი არაუმნიშვნელო ინტერნეტით წვდომადი წყარო და მონაცემი:

1. <https://geoanbani.com/other/gllc.ge/index.html> - ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ღია ინსტიტუტის ვებ-გვერდი, 2007-2010 წლებში ვებ-გვერდი ფუნქციონირებდა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და „ვისოლის“ წინაპარი კომპანიის „კანარგო სტანდარტ ოილის“ ქველმოქმედებითი მხარდაჭერით;
2. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_1_2005.pdf - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2005, N1, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და „ვისოლის“ წინაპარი კომპანიის „კანარგო სტანდარტ ოილის“ მხარდაჭერით;
3. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_2_2005.pdf - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2005, N2, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და „ვისოლის“ წინაპარი კომპანიის „კანარგო სტანდარტ ოილის“ მხარდაჭერით;
4. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Partee_GEO.pdf - მათემატიკური მეთოდები ენათმეცნიერებაში, 2006, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და „ვისოლის“ წინაპარი კომპანიის „კანარგო სტანდარტ ოილის“ მხარდაჭერით;
5. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Hauser_GEO.pdf - გამოთვლითი ენათმეცნიერების საფუძვლები, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით;
6. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/saswavlo_unarebi_1_2007.pdf - ჟურნალი „ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“, 2007, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით;
7. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf - სასემინარო კვირეული - ლოგიკა, ენა, გამომთვლელი, 2007, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით;
8. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2006-2007, N3 – N6, გამოიცა ქართული ენის დაცვის მიზნებითა და კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით;
9. <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf> - ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები, ქართული ენის დაცვის მიზნებით გამოიცა 2009 წელს გამოიცა მეუფე დავით აღავერდელის შეწევნით, პატრიარქის კურთხევითა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით;
10. https://drive.google.com/file/d/1I962a1G_zOJA_TA6wkRDpv7tFVwRIazS/view?usp=sharing - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2013 – 2014, N7 – N8;
11. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2015_2016_%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A_N9.pdf - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2015 – 2016, N9;
12. <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/2.pdf> - ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები, 2017;
13. <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/3.pdf> - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2017 – 2018, N11/მეორე ნაწილი;
14. <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf> - ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, 2019 – 2021, N12 - N14);

15. <https://geoanbani.com/TbiLLAI/> - საზაფხულო სკოლა „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“, 2019;
16. <https://drive.google.com/file/d/1RbH-m7EN68HNkkee0l9ajpwVxcXjuVML/view?usp=sharing> - ჟურნალი „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ (N1(15)), 2023 - 2024;
17. <https://geoanbani.com/index.html> - სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ვებ-გვერდის მთავარი გვერდი: აპლიკაციები და პუბლიკაციები;
18. <https://geoanbani.com/HTML/aboutUs.html> - სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ვებ-გვერდის სატიტულო გვერდი: რჩეული პუბლიკაციები, ვიდეოები, სატელევიზიო გადაცემები;
19. https://www.youtube.com/channel/UCeGCaBrTFNawic_d5DAQ4JQ/videos - ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის იუთუბ გვერდი (ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრი არის საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის უწინდელი სახელი): ცენტრის აპლიკაციების სარეკლამო ვიდეოები და სატელევიზიო გადაცემები;
20. <https://corpus.ge/> - საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ქართული მრავალენოვანი ვებ-კორპუსი, რომელიც ყველაზე მოცულობითი და ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო მეტად მხარდაჭერილი ქართული კორპუსია.

ქალბატონო თეა, ბატონო მამუკა, ბოდიშს გიხდით ტექსტში შესაძლოა არსებული ენობრივი შეცდომებისათვის! - პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით, კონსტანტინე ფხაკაძე.

2025.07.02.

555 543 744,

<https://geoanbani.com/>

<https://institutes.gtu.ge/Institute/16>

მინაწერი: 2025 წლის 1 ივლისის ეს ზემოწარმოდგენილი მიმართვა გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარიამ ლაშხს, რის შემდეგაც შედგა მასთან მეტად შინაარსიანი საუბარი საქართველოს სახელმწიფო ენების სამომავლო ბედ-იღბალზე დღეს უკვე კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქაში.

ხაზგასასმელია, რომ ამ საუბრის შედეგად დაიგეგმა საკითხის საკომიტეტო განხილვა, რათა რაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს და გამოიკვეთოს იმ სამთავრობო პოლიტიკის ჩარჩოები, რასაც აუცილებლობით ითხოვს ზემოხსენებულ ახალ კულტურულ ეპოქაში ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნები.

კონსტანტინე ფხაკაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სტუ აკადემიური საბჭოს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეცნიერთა საბჭოს წევრი.

2026. 01.19.